ბრძოლა

ყოველთვიური ორენი ხაქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთულ ბიუროსი

«LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

პარიზი, მარტი 1927 წ. № 21. Paris, Mars 1927

1725
1927

დემოკრატიის კრიზისი

დემოკრატიის კრიზისი ფაქტია. ის იხატება ორი ფორმით: იდეიურად, მისი სამტრო მოძღვრების გავრცელებაში და პოლიტიკურად, მრავალ დემოკრატიულ წყობილებათა დარღვევაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ის სიადვილე, რომლითაც ეს დარღვევა ხდება. ხშირად საკმარისია ერთი ღამე, რამდენიმე საათის აფორიაქება, რომ გამთენიას თავისუფლებიდან დესპოტიზმში ამოყოთ თავი.

ანტიდემოკრატიული ქარიშხალი პირველად ამოვარდა რუსეთში, გადმოიარა სამხრეთ ევროპაში, უკანასკნელად წვდა ლიტვას. ქრის მთელ დასავლეთში. ის საერთო მოვლენაა. დემოკრატიას ებრძვის სხვადასხვა ბანაკი. ბოლშევიკური, ფაშისტური, მილიტარული, ნაციონალისტური და სხ. მარა ებრძვიან ერთნაირი საშუალებებით, შეხმატკბილებული და ხელი-ხელ ჩაკიდებული. მათი დოკტრინა ერთია, მათი პრინციპები არ ხსხვავდებიან.

დოკტრინა. მათი მოძღვრების ცენტრია შეხედულობა სახელმწიფოზე. მათ აღადგინეს ძველი მერკანტილური ეპოქის იდეა სახელმწიფოს ყოვლად შემძლებლობაზე. რითაც მაშინ ებრძოდენ პარტიკულიარიზმს, პროვინციალიზმს და ფეოდალიზმს და გადმოტანეს ახალ დროში თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგ. სახელმწიფო გამოცხადებულია განყენებულ მცნებად, აბსტრაქციად, რომლის ინტერესი სრულიად არ ფარავს საზოგადოების ინტერესს და არც ემორჩილება მის კანონებს. ყველა კლასი და წოე ვალდებულია დაიჩოქოს ამ ღვთაების წინაშე და მისი მონა-მორჩილი გახდეს. კლასები გაუქმებულია, მათი ბრძოლა აკრძალულია; მათ მაღლა დგას მთავრობა და ის ზრუნავს ყველა კლასზე და მოქალაქეზე. ეს ზეკლასიური მართველობაა მოწოდებული ოთვითეულ პირს მიუჩინოს თავისი ადგილი საზოგადოებაში და ჩაყენოს მუდმივ ოპეკაში. ამ გზით მყარდება «ბედნიერება» ყველა მათ-საბრძანებელში, მოსკოვიდან მადრიდამდე.

პოლიტიკა. ამ მოძღვრებას ებრძვის დემოკრატია, მაშასადამე დემოკრატიის დაქცევით ის გაიმარჯვებს. რა გზით? ერთთა ერთითი: პარტიული მონოპოლიით და მილიტარული ძალმომრეობით. ჭეშმარიტება ხელთ უპყრია ამ ერთ პარტიას, მის მეთაურებს, მის შეფებს, რაც ხალხს არ ესმის და საჭიროა მას ის ძალით შეასმინონ. დემოკრატიის ალაგს იპერს «შეგნებული უმცირესობა», «მომქმედი ჯგუფი», «რევოლიუციური ინტელიგენციია», ერთი სიტყვით გაბედულნი და მებრძოლი გმირები. ესე-

---

*) ეს წერილი უკვე დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე პარიზელ «la Vie Socialiste»-ში. წინანდელი წერილი ნ. ქ—სი: «ახალი პროგრამა» გამოქვეყნდა აგრეთვე ფრანგულ ენაზე ორ ჟურნალში: იმავ «la Vie Socialiste»-ში და ბრიუსელის «l'Avenir Social»-ში, სხვა წინანდელი წერილებიც გამოქვეყნებული იყო ზოგი ფრანგულად და ზოგი რუსულად.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი არ არჩევენ კლასს და წოდებას, მათთვის ყველა მისაღებია, ვინც კი მათ გაყვება; მათი ლაშქარი ყველა კლასიდან იკრიბება, განსაკუთრებით კი დაბალი კლასებიდან. მუსოლინის პარტიაში დიდი უმრავლესობა მუშები და გლეხები. პარტია ბატანდება ერზე, მეზობელი მეზობელზე, უმცირესობა უმრავლესობაზე. ძირს ხალხის სუვერენობა, გაუმარჯოს ფაშისტის და ბოლშევიკის სუვერენობას—აი მათი პოლიტიკური დრო'ში.

ამ ახირებულმა დროშამ მოიპოვა ფართე გამოხმაურება; მან შეარყია დემოკრატია. ბურჟუაზიულ დემოკრატიამ წაირქა ფაშიზის წინაშე, ხოლო მუშათა დემოკრატიამ ბოლშევიზმის წინაშე, რატომ? იმიტომ რომ დემოკრატიამ ვერ გამოიჩინა შესაფერი მოქნილობა ახალ გარემოებათა შესაგუებლათ, ახლათ გადაჯგუფებულ მტერთა გასარჩევათ და მოსაგერებლათ. ის ჩარჩა ძველ ჩარჩო'ში, ძველათ ეკიკემული თამასუქებით და შეთვისებული ბრძოლის მეთოდებით, მაშინ როდესაც მისი მოპირდაპირე ბანაკი სრულიად ახალი ფორმაციის და სახისაა.

თანამედროვე დემოკრატია დაიბადა და აღიზარდა თავად-აზნაურულ და ბურჟუაზიულ უფლება-უპირატესობასთან ბოძოლაში. მის წინ მუდამ იმართებოდა ზღუდენი ტახტის, არისტოკრატიის, შეძღებულების. ეს დაბრკოლება მან გადალახა და გაიმარჯვა. ასეთ მტერთან ბრძოლაში ის გამოცდილია, მისი ავან-ჩავანი კარგათ იცის. დღეკვანდელი მტერი კი ამას სრულიად არ გავს. ძველი დროშა სახელ გატეხილია, ის ჩამოხსნილია. პირიქით, მტერი თვით ებრძვის მას, არ სწამს არავითარი ძველებური პრივილეგიები; დემოკრატიას ეპირდაპირება არა მონარქია, არა არისტოკრატია და ბურჟუაზია, არა რომელიმე კლასი და წოდება, არამედ ყველა კლასისაგან გამოკრეფილი ჯგუფი ერთ შეიარაღებულ რაზმათ თუ პარტიათ გადაქცეული. ეს ხალხი ერთდაიმავე დროს მიდის მარჯვენით და მარცხნით, პოლიტიკური რეაქციის და სოციალური რეფორმისაკენ. ეს ზეკლასიური თუ კლასთა შუა შეჯგუფებათა ბრძანებლობა ევროპას აქამდის არ უგემია; მას კარგათ იცნობდა ძველი ანტიური დემოკრატია და ეწოდებოდა დემაგოგია და ტირანია. აი ეს ათინაში და სიცილიაში ერთხელ დამარხული წყობილება ახლა ათას ხუთასი წლის შემდეგ დგება და ევროპას ახალ სახარებათ ეკლინება! დემოკრატია შედრკა, დაიბნა და მტერს გზა გაუხსნა.

მოხდა დემოკრატიის იდეიური კრიზისი, პირველ ყოვლისა მუშათა დემოკრატიის. მან ვერ გადასწყვიტა ძირითადი საკითხი ეკონომიური და პოლიტიკური მოძრაობის ურთიერთობის შესახებ. შესაძლებელია სოციალური რევოლიუცია პოლიტიკური დამონავებით? მოსკო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლამ გაიტაცა და მოსკოვის სახარებაზე იმედების დამყარება დაიწყეს. საზოგადოება ითხოვდა მაგრ მთავრობას. მას უმასპინძდებოდენ ლამაზი სიტყვებით. ბურჟუაზიული დემოკრატია შეშინდა, უკან დაიხია და თან აიყოლია საზოგადოების ერთი ნაწილი. დემოკრატიული მართველობის უმყაოფილო ელემენტები შეუდგენ ახალი მართველობის ძებნას. ფაშიზმი დაიბადა.

როგორც ხედავთ, ფაშიზმი, ისე როგორც ბოლშევიზმი, აღორძინდა დემოკრატიის უძლურებაზე, გამოვიდა მისი იდეიური და პოლიტიკური კრიზისიდან. ყოველგან სადაც კი გაბატონდა სიტყვიერი დემოკრატია, ფაშიზმს გზა გაეხსნა. დემოკრატების მიერ დატოვებულ პოზიციებს ფაშისტები ეპატრონენიან. ბურჟუაზიული დემოკრატია უარყოფს ფაშიზმის სოციალურ დემაგოგიას, მარა იწონებს მის პოლიტიკურ რეაქციას და კალთაში უვარდება სწორეთ ისე, როგორც სოციალისტური დემოკრატია უარყოფს საბჭოთა პოლიტიკურ რეაქციას, მარა იწონებს მის სოციალურ დემაგოგიას და მას ეხმარება. დემოკრატიის ამ ორივე ფრთის პრინციპიალური შეუყვევით სარგებლობენ მტერთა ორივე ბანაკი და გახურებული მუშაობა აქვთ გამართული დემოკრატიის მთელ ევროპაში დასანარეკვად.

ევროპა ამყოფათ იმყოფება ტრიანიის ხანაში, მსგავსათ ძველ საბერძნეთისა მეექვსე საუკუნეში. კლასიური მართველობა იშლება, ჯგუფური მართველობა წესდება. ეს ტალღა ძლიერდება, ახალ-ახალ ქვეყნებში გორდება და დემოკრატიას მუსაფლავეთ ეყლინება. დემოკრატიის დღევანდელი ისტორიული მოწოდებაა—ამ ტალღის დაძლევა, საზოგადოების ისევ ძველ პოლიტიკურ ლიანდაგზე დაბრუნება და ძველი ხაზის და ბრძოლის გაგრძელება. რა გზით შეიძლება ეს? გზა ერთათ ერთია—დემოკრატიის მიერ საკუთარი იდეიური კრიზისის დაძლევა, ძველ პრინციპებზე შერჩენა, ძველი მოძღვრების ერთგულება. რაკი ანტიდემოკრატიული ნიაღვარის გადმოხეთქა გამოიწვია პირველი ზღუდეების მოშლამ, სოციალისტების შეფოფრინელამ, ცხადია გამოსწორება უნდა დაიწყოს სწორეთ აქედან. ბოლშევიზმი და ფაშიზმი სიამის ტყუპებია; სადაც კი პირველი გაჩნდება, იქ მეორეც ჩნდება და საზოგადოებას მხსნელათ ეყლინება. სანამ თვით სოციალისტური დემოკრატია არ იტვირთებს ამ მხსნელის როლს, სანამ ბოლშევიზმს თავის აშკარა მტრათ არ გამოაცხადებს და ყოველივე ყოყმანს ამ საფრთხეში არ უთარფოს, მანამდე ფაშიზმი ვერ დაითრგუნება და საზოგადოება ვერ გადარჩება მისი ბრუნყალებისაგან. ერთი ტირანია ასაზრდოებს მეორეს; მათთან დამოკიდებულებაც მხოლოდ ერთნაირი შეიძლება იყოს. სოციალიზმი არის ერთი, არ შეიძლება ის იყოს ორი; ბაუერის მოსაზრება «ბოლშევიზმი სამხედრო სოციალიზმია», სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. მას სოციალიზმთან არ აქვს არავითარი კავშირი, არც თეორიული, არც იდეიური, არც საბჭოდრო და პოლიტიკური. ფაშიზმის მთავარი მეგზურია ბოლშევიზანი; ის უკარგავს საზოგადოებას რწმენას დემოკრატიულ მართველობაში და მით ხდის მას მტრის ლუკმათ. იტალიის მაგალითი შორს არ არის. მაქსიმალისტებმა შეინახეს «სიფშინდე», მარა პარტია და ქვეყანა დაკარგეს. წმინდა ბერი წმინდათ წაწყდა—ჩვენი გზა არ არის. ყოველგან, სადაც კი სოციალისტური პარტია თავის სკამეს ოფნავთ მაინც შეუკავშირებს მოსკოვს, იტალიის ამბავი გამეორდება. ევროპა საკმათ საღი სოციალური ერთეულია, რომ რუსეთის ეკსპერიმენტს არ გაყვეს. ის აქ სამართლიანათ ხედავს დაღუპვას, უფსკრულს, და დროებით ეშმაკსაც კი დაუკავშირდება, ოღონდ შიგ არ გადავარდეს. ჩვენი მიზანია ის დაუკავშირდეს სოციალიზმს და არა ფაშიზმს.

სოც.-დემოკრატიის იდეიური კრიზისის დაძლევა მოგვცემს პოლიტიკურ კრიზისის დაძლევასაც. თავისთავის რწმენა იძლევა გაბედულ მოქმედებას. სწორი იდეოლოგია სწორი ტაქტიკის დედაა. თანამედროვე დიდი პრობლემების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ორ ნაირათ: ბურჟუაზიულათ და სოციალისტურათ; ე. ი. საზოგადოების ან ძალზე უკან დაქანებებით ან მედგრათ წინ წაწევით. შუაში გაჩერება, ერთი ალაგის ტკეპნა შუათანა კლასების საქმეა, წვრილი ბურჟუაზიის და განათლებული ინტელიგენციის ხელობაა. უწყინარი, პაციფიური, სულიერი დემოკრატია ამათი მოძღვრებაა. წვრილ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბურჟუაზიული მთავრობა დღეს წელმოტეხილია, უძლური, უშინაარსო მართველობა. ამ ყველა საარჩევნო ბიულეტენიც რომ მიიღოს, ძალაა მაინც ვერ გადაიქცევა: მისი ორეულიანი კლასიური ბუნება არ შეიცვლება. ის ძალაა იქცევა ერთ პირობაში—მის გვერდზე ამოდგომით ან მარჯვენიდან ბურჟუაზიის, ან მარცხნიდან პროლეტარიატის. ამ ორი დიდი ანტაგონისტური კლასების ხელში ის უკვე რეალური ძალაა. სოციალისტური დემოკრატია ვერ გამოიჩენს ისეთ სეკტანტობას, რომ ეს ძალა გადაუგდოს თავის მოწინააღ-დეგს, ვერც ისეთ ოპორტუნისტობას, რომ თვითონ გაითქვიფოს მასში. წვრილბურჟუაზიულ ქვეყნებში ამ ორი ძალის კოორდინაცია, მოთანხმება ერთ მიმდინარე სოციალურ პროგრამაზე თავდება დემოკრატიის მტრის დამარცხების და რეაქციის საფრთხის თავიდან აშორების. ყველა მართველობა, რომელიც ეწერგიულთან არ ერევა კლასთა დამოკიდებულებაში დაჩაგრულთა სასარგებლოთ, ხდება კვარცხლბეკი ფაშიზმის და ბოლშევიზმის. როცა ხალხი ვერ იკმაყოფილებს თავის არსებითი მოთხოვნილებებს დემოკრატიის საზღვარში. პირს იბრუნებს დემოკრატიის მტრებისაკენ, ეძებს ახალ გამასვალს, ხდება რეაქციის კლიენტათ. ხალხს რეფორმა, მტერს ბრძოლა—აი დემოკრატიის გადასარჩენი საშუალება.

ბურჟუაზიული დემოკრატიზმი. ლიბერალიზმი, სამუდამოთ გაკოტრებული. მისი სოციალური laisser faire. მისი ჩაურეველობა კლასთა ბრძოლაში და ძველ ინდივიდუალიზმზე გაყინება, დღეს ფართე მასისათვის სრულიად მიუღებელია. ამ სფეროში სოციალისტური კრიტიკა სავსებით გამარჯვებული და გამართლებულია. ლიბერალიზმი დაამარცხა სოციალიზმმა. მარა მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი: ამ ბრძოლის ნაყოფი სოფიალიზმს გამოსტაცა ბოლშევიზმმა და ფაშიზმმა და თვითონ მიისაკუთრეს. ამ მოძღვრებათა ორივე დამაარსებელი—ლენინი და მუსოლინი—გამოვიდენ ს.-დემოკრატიული პარტიიდან და გამოიტანეს იქიდან მთელი სოციალისტური კრიტიკა ლიბერალური დემოკრატიის. მარა ეს კრიტიკა მათ ამშეშავეს არა მარტო ბურჟუაზიული, არამედ სოციალისტური დემოკრატიის წინააღმდეგაც და მოინდომეს კლასთა დამოკიდებულებაში ჩარეკა ანტიდემოკრატიული, დესპოტიური საშუალებით. ამ კცალ მოყვა არა სოციალური რევოლიუცია, არამედ სოციალური კატასტროფა. რუსეთი ამის აშკარა მაგალითია. ამ კცალ დიდებულათ დაამტკიცა ორი ჩვენი ძირითადი დებულება: სოციალიზმი შეიძლება იყოს მხოლოდ დემოკრატიული, დემოკრატია შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალისტური.

სოციალური გაკოტრება ლიბერალიზმის, ბოლშევიზმის და ფაშიზმის ობიექტიურათ გზას უხსნის სოციალიზმის ძლევამოსილ მსვლელობას, ხოლო სუბიექტიურათ ამ მდგომარეობის გამოყენება დამოკიდებულია სოციალისტური პარტიებისაგან. ფაშიზმი იბრძენებს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ბოლშევიზმი, ხოლო ეს უკანასკნელი იქნება იმდენ ხანს, სანამ სოციალისტური ინტერნაციონალი ორეულოფობას თავს არ დაანებებს და გადაჭრით არ გამოვა მის წინააღმდეგ. რომის დამარცხება შეიძლება მოსკოვის დამარცხებით.

ნ. ჟ.

პოლიტიკური მიმოხილვა.

საზოგადოთ კაკობრიობის განვითარების ისტორიაში აუარებელ დიდ კატაკლიზმებს ჰქონია ადგილი. ამ მხრივ ვერაფერი ვერ გაგვაკვირებს. გვსმენია სახელმწიფოთა ნგრევა, ხალხთა ერთმანეთზე მისვლა, აღმოსავლეთის დასავლეთზე გალაშქრება და წინააღმდეგ; ასი წლის ომიანობა, სარწმუნოებრივი ოცეკა-ქლეტვა, რევოლიუციონური ომები, ნაპოლეონის ეპოპეია და როგორც მთელი ამ დაუსრულებელ ჭიდილის აპოთეოზი—საერთაშორისო ომი.

მაგრამ დღევანდელი საერთაშორისო სურათი არა ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენს. მას წარსულში პრეცედენტი არა აქვს. როცა წინეთ ომი იყო, ყველამ იცოდა, რომ ეს იყო გაშლილ ფრონტზე ბრძოლა: მდგომარეობა სრულიად მარტივი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველასათვის გასაგებარი. ყველამ იცოდა, ვინ ვის გამოუცხადა ომი; იცოდენ ომის დაწყების დატა, მისი პირობები, რა იყო ომის, ყოველშემთხვევაში გარეგნული, მიზეზი; იცოდენ აგრეთვე სად იყო მოწინააღმდეგეთა მთავარი პოზიციები, მათი ფიზიკური მიზნები.

დღეს კი მთელი ქვეყანა, ბრუნდი და მართალი, ზავზე გაკკივის. ამ ნიადაგზე მთავრობათა დოდია გამართული; სამ უმთავრეს ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ნობელის საზავო პრემიაც კი მიიღეს. საბჭოთა მთავრობა ხომ შეურაცყოფილათ თვლის თავს, როცა მის აგრესიებაზე დაიწყებენ ლაპარაკს; ერთი სიტყვით, ყველას ზავი უნდა. ყველა მშვიდობიანობაზე ოცნებობს; სინამდვილეში კი იმათ გარდა, ვინც ძალათ თვალებს იბრმავებს, ყველა ხედავს, რომ დღეკანდელი ხანა არის განუწყვეტელი ომიანობის ხანა. მართალია, ოფიციალურად ომი არ არის გამოცხადებული, ელჩები თავ-თავიანთ ადგილებზე სხედან, სამობილიზაციო წესები არ აუმუშავებიათ. პირიქით, ეკონომიაში შეიარაღების შემცირების კომისია განუწყვეტელად შეუშაობს, ერთი ლიგის სესიები ნორმალურად ტარდება, მაგრამ სწორედ ამ გარეგნულ «მშვიდობიანურ» სახეობის და მის შინაგან, ბრძოლის სულით გაჟღენთილ შინაარსის წინააღმდეგობით ხასიათდება დღეკანდელი ხანა.

აბა გადახედეთ ჩინეთის სურათს, თუ ჩვენ ის არ გვაძლევს უფლებას ვსთქვათ, რომ ორი მოწინააღმდეგე ძალა აქ ჩაბმულია სამკვდრო-სასიცოცხლოს ბრძოლაში. ჩინეთის მოძრაობა მეტად რთული მოვლენაა და მისი გამარტივება ჩვენს აბგარიშში არ შედის. საქმის ასე მიდგომა არც თვით ამ მოძრაობის ინტერესებისათვის არის ხელსაყრელი. ჩვენ ვიცით, რომ ამ მოვლენის გამარტივებაში დიდათ არის დაინტერესებული ის ძალა, რომელიც მას დღეს ხელმძღვანელობს. მაგრამ ჩვენ მის სიტყვიერებას ვერ გავყვებით, თუ არ გვინდა მახეში ჩავებათ და ჰპოსპექტივები დავიბნეოთ. იმდენად, რამდენათაც ჩინეთის ხალხი ვანმათავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებს. მთელი ჩვენი თანაგრძნობა და სიმპატია მის მხარეზეა, ვინ გაუგებს უფრო ადვილათ ჩინეთს, ამ უფიდდესს ერს, უძველესს კულტურის მატარებელს, დღეს უცხოეთის მძიმე უღლის ქვეშ მყმინავს, თუ არა ქართველი ერი, რომელიც გარე-ეს მტერთან ბრძოლაში სისხლიდან იცლება? ამ მხრივ ჩვენი პოზიცია-დიდი ხნიდან გარკვეულია. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ჩინეთის ეროვნული მოძრაობას ლამობს დაეპატრონოს ისეთი ძალა, რომელიც მისი ბუნებრივი და შეურიგებელი მტერია. დღეს იმპერიალისტებს შორის ყველაზე დიდ საშიშროებას ჩინეთისათვის მოსკოვი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ეეროპასთან და განსაკუთრებით ინგლისთან ომს აწარმოებს. ომი გაშლილ ფრონტზე მისთვის შეუძლებელია, ამიტომ ის ჩინეთის ეროვნულ მოძრაობას ამოეფარა და აქეთან ახდენს ფალსსმას. სხვისი სისხლით ვაჭრობა, სხვის ზურგზე თავის შავბნელ საქმეების კეთება—ეს ხომ ბოლშევიკების ბუნებაა და სწორედ ამაშია სუსტი მხარე ამ თავისთავად კეთილშობილურ მოვლენისა, რომელსაც ჩინეთის რევოლიუცია წარმოადგენს. ბრიტანეთის ქვანახშირის მაღაროების შუშათა გაფიცვაც ხომ მოსკოვის გაელენის მსხვერპლი გახდა. კუკი, ამ მოძრაობის მეთაური. არც მეტი არც ნაკლები—მოსკოვის აგენტი გამოდგა და სწორეთ მისმა ტაქტიკამ მოგვცა შედეგათ: 117 მილიონი ტონნი ნაკლები პროდუქცია, 147 მილიონი დაკარგული სამშაო დღე; 7 ნახევარ მილიარდ ფრანკით ნაკლები ხელფასი; 10 პროც. ხელფასის დაკლება; ერთი საათით სამშაო დღის გადიდება და ორას ათასს მუშის უმუშევრად დარჩენა. ჩვენ მკითხველს კარგათ ახსოვს შიში, რომელსაც ჩვენ გამოვთქვამდით. სამწუხაროთ ეს შიში გამართლდა და ყოველივე ეს ნაყოფია მოსკოვის პროფოკატორულ როლის ინგლისის გაფიცვებში.

ასეთივე შიში გვიპყრობს ჩვენ, როცა ბ. შენის (კანტონელთა საგ. საქმეთა მინისტრია) უკან ვხედავთ ბოლშევიკების აგენტის. ვიღაც ფსევდონიმ ბოროდინის ცხვრის.

კიდევ კარგი თუ საღმა გონებამ გასჭრა და კუომინტანგის (ჩინეთის რევოლიუციონური პარტია) წიაღში გაიმარჯვა ზომიერ ეროვნულ ელემენტებმა. თუ ეს მოხდა—და ეს არც ისე უიმედოა—მაშინ ჩინეთის მოძრაობა თვით გადახარშავს ის საწამლავს, რომელსაც მოსკოვი მას შეუშრალებლათ უშხაპუნებს და ეროვნული ბრძოლაც მიიღებს ნორმალურ მსვლელობას; ამ პირობებში მისი საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია; წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ამ მოძრაობას ისეთივე ბედი მოეკის, რაც მოსკოვის სხვა ავანტიურებს ეწვია. ევროპაში დამარცხებული მოსკოვი ახლაში რევანშს ვერ აიღებს; ვინც ამას ვერ ხედავს, მას პოლიტიკის არა გაეგება რა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

* * *

მოსკოვი აზიაში ევროპას ცეცხლს უნთებს; ის იქ «დიდ» პოლიტიკას აკეთებს; ამავე დროს აქ ევროპაში პატარა საქმეებსაც არ ივიწყებს. სანამ კრედიტების მიღების იმედი სავსებით არ გამქრალა, მისი აგენტები «საქმიანობენ». რაკოვსკი პარიზში დაბრუნდა და რუს-ფრანგების კომისიამ მუშაობა განაახლა. ჯერჯერობით მთელი ეს მუშაობა ერთ საკარო სხდომაში გამოიხატა. არც დემონზის (კომისიის თავმჯდომარეა) და არც რაკოვსკის არ ეტყობა დიდი ენტუზიაზმი. რუსის პოეტის არ იყოს, «დოგორეული ოგნი. ობლუტელი ცვეტი», და როგორ არ ჩაჰკეზოდა ცეცხლი, როდესაც რაკოვსკის პუანკარესთან აუდიენციაც რვა წუთი გაგრძელდა და ჩვენი ცნობით სფორანგეთის პრემიერმა ჩვეულებრივი პირდაპირობით დაუსვა საკითხი ბ. ელჩს: თუ ახალი ინსტრუქციები არ ჩამოგიტანიათ, კომისიაში მასალათი დროს დაკარგვაა. ან რა იმედი უნდა ქონდეს მოსკოვს სფორანგეთის, როცა რუსეთის მევალეების კონგრესი 28 მარტს ერთხმად ადგენს: «იღებს რა მხედველობაში ორი წლის სრულიად უნაყოფო მოლაპარაკებას; აგრეთვე იმ საფრთხეს, რომელსაც საბჭოთა დელეგატების მიერ დაჭერილი პოზიცია უმზადებს სფორანგეთის საზოგადო და ზნეობრივ პრინციპებს,—კონგრესი წინადადებას აძლევს საფრანგეთის თთავრობას მისცეს საბჭოებს განსაზღვრული ვადა, რომელშიაც ისინი ვალდებული არიან ან მიიღონ ან უარყონ საფრანგეთის მოქალაქეთა ზარალის ადგენა. უკანასკნელ შემთხვევაში საფრანგეთის თთავრობამ უნდა უსასუხოს ენერგიული ზომებით დიპლომატიური კავშირის გაწყვეტაშდე». ამავე კონგრესის სხდომაზე წაკითხულ იქმნა პუანკარეს წერილი 1927 წლის 27 იანვრის თარიღით, საიდანაც ჩანს, რომ მთავრობა საბჭოებთან მორიგების პირობათა სთვლის საფრანგეთის მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურებას. ეტყობა, მოლაპარაკების განახლებული სესია ისევე დასრულდება, როგორც შარშან, იმ განსხვავებით, რომ ეხლა ექსპერტთა შორის საქართველოს «დელეგატიც», ცნობილი ფინანსისტი სვანიძეა და «კომბინიროვაჩნინი» ისიც მოითბობს ხელს.

Ш. Ш.

* * * \

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

სოციალისტებმა დაღუპეს. ამათ, რასაკვირველია, თავში არ მოსვლიათ უბრალო საკითხი: როგორ მოხდა. რომ კაკასიის ან რუსეთ-პუბლიკებიც კი, რომელსაც მართველად არასოციალისტები, სოციალისტურ საქართველოზე აღრე დაიღუპენ. და თუ ვერც ბურჟუაზიულმა მთავრობებმა შეაკავეს კაკაკასიაში თავიანთი რუსპუბლიკები, ცხადია აქ მიზეზია არა პარტიული შემადგენლობა ამა თუ იმ მთავრობის, არამედ გაცილებით უფრო ღრმა და ზოგადი პირობები. ბ-ნი სტოკსი ამას არ ხედავს და არ ხედავს იმიტომ, რომ ამის დანახვა მისთვის დიდათ სასარგებლო არ არის. აქ ის პირფშვნილათ ბაძავს მეორე ინგლისელს, ბ-ნ პრისელს, რომელმაც თავის ცნობილ წიგნში ბაქოს კომისართა დახვრეტა იმიერ-კასპიის მხარეში გადაამარცალა მენშევიკების და ამით ხელი დაადგარა ინგლისელებს. ბ-ნი სტოკსიც ხელს აფარებს ლოიდ ჯორჯის კაკასიის პოლიტიკას, რაიცა შეიძლება ჩაითვალოს მთავარ მიზეზათ ჩვენზე მოსკოვის გამოლაშქრების. ეს პოლიტიკა ცნობილია და არც არავისთვის საიდუმლო აღარ არის: ლოიდ ჯორჯმა კაკასია აღიარა რუსეთის სფეროთ ჯერ სიტყვიერით, კრასინთან მოლაპარაკებაში, როგორც ეს ჩიჩერინმა გამოაქვეყნა, და შემდეგ წერილობით, რუსეთთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობაში, იმ იმედით, რომ მოსკოვი დაეკავშირებია ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ ბეცი პოლიტიკიდან რაც გამოვიდა ქვეყანამ იცის: ის სავსებით დამარცხდა და მასთან ერთად დამარცხდა ინგლისელნი ლოიდ ჯორჯი და მისი პარტია. შეიძლება ეს დიდი პოლიტიკა ქართველ რეაქციონერებმა არ იცოდენ და მათ ამას ვერც მოვსთხოვთ, მაგრამ ბ-ნმა სტოკსმა კი ძალიან კარგად იცის და სიტყვის ბანზე აგდება ამ სინამდვილეს ვერ დაფარავს.

ამ ჩინებული წინასიტყვაობის შემდეგ იწყება მეორე წინასიტყვაობა თვით ბ-ნ დიუგესი. აქ ავტორი, სხვათა შორის, აბუჩათ იღებს ჩვენს სახალხო გვარდიას, რომელზედაც, რა თქმა უნდა, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ნამდვილათ კი, თუ არა ჩვენი მუშათა გვარდია საქართველოს ეროვნული განთავისუფლება ვერ მოხდებოდა,— პირიქით, მისი გასაბუნება მოხდებოდა ჯერ კიდევ 1917 წლის ბოლოში, როცა თვილისში 35.000 გაბოლშევიკებული რუსის ჯარისკაცი იდგა; ესენი მხოლოდ თფილისის მუშათა საბჭომ და მისმა გვარდიამ აღაგმა და შინ გაისტუმრა. უგვარდიოთ არ შეიძლებოდა არც ქართული ჯარის შედგენა. ყველამ იცის, რომ სწორედ გვარდიამ განაიარაღა პირველი ქართული გახულიგანებული პოლკები. საზოგადოთ დამოუკიდებელი საქართველოს მთავარი შეიარაღებული ძალა დიდხანს იყო სახალხო გვარდია და მხოლოდ მისი დახმარებით და მფარველობით იწყება მუშმიგი ჯარის შედგენა. და თუ ეს პროცესი არ დამთავრდა, ამის მიზეზი იყო მოსკოვის თავდასმა. ბ-ნ დიუგეს უნდა მოეხსენებოდეს, რომ მუდმივი ჯარის ამარათ დარჩენა არა თუ ჩვენ, პოლონეთმაც ვერ შესძლო იმ ხანებში.

ბ-ნი დიუგე თავის თავს ნებას აძლევს დაეყრდნოს ბ-ნ ავალიშვილს, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აბუჩათ აიღო თავის ცნობილ წიგნში. მარა ბ. ავალიშვილი აქ რჩება ლოდიკაში: ის ებრძვის არა მარტო ჩვენს პარტიას, არამედ ამასთანავე თვით საქართველოს თავისუფლებასაც. მხოლოდ ბ-ნი დიუგე ემყარება რა ასეთ ავტორიტეტს, იმავე დროს იცავს დამოუკიდებელ საქართველოს. განსაკუთრებით ბ-ნ დიუგეს მოყავს ავალიშვილის წიგნის ის ნაწილი, სადაც დაგმობილია ჩვენი აგრარული რევოლიუცია და დაცულია ძველი, ფეოდალური მიწათმფლობელობა. ბ-ნი დიუგე თავის მხრით სკვნის, რომ «საქართველო გახდა მსხვერპლი სოციალისტური ექსპერიმენტების»; ერთი სიტყვით. ბ-ნი დიუგე, სტოკსი, ავალიშვილი და მათ ზურგს უკან მდგომი ძველი კარი დროის მოტრფიალე ქართველნი საქართველოს საკითხს უდგებიან არა ნაციონალურის, არამედ ვიწრო კლასიური თვალსაზრისით. შეადარეთ ეხლა ამათ მეორე უცხოელი ავტორი, რომლის წიგნი ფრანგულათ ბ-ნ დიუგეს წიგნთან ერთათ დაიბეჭდა ამ სათაურით: «თავადი ტარიელ. ქართული რომანი». თხზულება ოდეტ კენის. აი ეს მანდილოსანი ჩვენ ქვეყანაში ჩვენს დროს ნამყოფი ამ თავის საუცხოვოთ დაწერილ წიგნში ქართულ საკითხს უდგება არა პარტიულის, არამედ ხალხური, ნაციონალური თვალსაზრისით. ის აგვიწერს შესანიშნავ ნიუანერათ იმ ინტერნაციონალურ ინტრიგას, რომელიც იესოოდა თავისუფალ საქართველოს ირგვლივ და რის მსხვერპლი, მართლაც, ჩვენი ქვეყანა გახდა. ამ რომანის გმირი, თავადი ტარიელი, ახალგაზდა მებრძოლი მხედარი, თავის ძველი ალიქმის ბიძაა, მიწიერ[illegible] - მორთმეული უკმაყოფილოს და ოსმალეთისაკენ მაკცქერალს, ეუბნება: დიახ, ამ ხალ[illegible]ძა (ე. ი. სოც.-დემოკრატებმა) ჩვენ მიწები ჰამოგვართვა, თავად-აზნაურობა მოსპო, მარა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მათ მოგვცეს გაცილებით მეტი ვინემ მიწა, ვინემ ჩვენი წოდება: მათ გაანთავისუფლეს ჩვენი სამშობლო და მეც ამ მთავრობას ვემსახურებიო. ეი ასეთია 26 მაისის ქართველი თავადი. ხოლო ეს ავალიშვილები და ძმანი ბითნი ნიკოლოზ მეფის თავადები. და როცა ამათ ბ. დიუგე ეწყარება. უნდა ვთქვათ ორში ერთი: ან ის მტად გულუბრყვილოა და ამ ხალხის ბრმა იარაღია, ან და ახალი საქართველოსი არც მას არაფერი სწამს, ისე როგორც არაფერი სწამს მის ავტორიტეტს. ბ-ნ ავალიშვილს.

ბ-ნი დიუგე თავის წიგნის ისტორიულ ნაწილში ბევრ მართალს ლაპარაკობს და რომ ის ამ ნაწილით დაკმაყოფილებულიყო, წიგნი უეჭველია სარგებლობას მოგვიტანდა. მაგრამ სამწუხაროდ წინასისტეგობაში აკეთებული აზრი—სოციალისტებმა დალუპეს საქართველო, ავტორს არ შორდება და ამ ისტორიულ ნაწილშიაც ათქმეცნდს იმას, რაც მოკლებულია ყოველივე ისტორიულ საფუძველს. საკმარისია მოვიყვანოთ ორი მაგალითი. ავტორის აზრით. საქართველოს მთავრობამ დიდი შეცდომა ჩაიდინა ზავის ჩამოგდებით ბოლშევიკებთან ფოთლაში 1920 წლის მაისში. მისი აზრით ჩვენ თურმე შეგვეძლო მტრის დამარცხება არა მარტო საქართველოს საზღვრებზე. არამედ მათი გარეკა აზერბეიჯანიდანაც და ჩრდილოეთ კავკასიიდანაც. ვითომ ამ აზრის იყო სარდალი კვინტაძე და ამის გამო ის თანამდებობიდანაც გადადგა. მთელი ეს მტკიცება ბ-ნი დიუგესი ან მის ზურგზე უკან მთხრობელის სრული ფანტაზიაა. ჩვენ მიერ ომის გადატანა აზერბეიჯანში მოითხოვდა ორ პირობას: ომის ტეხნიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობას. არც ერთი ეს ჩვენ მაშინ არ მოგვეპოვოდა. პირველის შესახებ ძალიან კარგად მოგზსენებოდა თვით ბ-ნ კვინტაძეს: ომი უიარაღით ჯავშნ მყოფელთ არასოდეს უწარმოებიათ. რაც შეეხება მეორე შესაძლებლობას, ეს კარგად იცოდა თავადობამ. მან იცოდა, რომ აზერბაიჯანში ბოლშევიკების შემოსვლა იქნა მოწყობილი ოსმალეთის ემისრების მიერ, ოსმალეთ-რუსეთის დასაკავშირებლათ. აზერბეიჯანი გახდა სწორეთ ამ ოსმალური პოლიტიკის მსხვერპლი და ის მაშინ არც კი ფიქრობდა ამ პოლიტიკის უკუგდებას. მთელ ამ საქმეს დოკუმენტალურად აეხადა ფარდა შარშან ანკორის სასამართლოში, სადაც ახალგაზდა თურქების» წარმომადგენელთ ჯავიდ ბეის და სხვებს ასამართლებდენ, და თუ ეს კიდევ დღესაც არ იცის ბ-მა დიუგემ, ეს იმიტომ, რომ ის უკიეიტიოთ უჯერებს ჩვენი ძველი აღთქმის თავადებს, რომლებიც მისტრიონან თავის მამულს და არა თავის სამშობლოს. რაც შეეხება ბ-ნ კვინტაძეს, ის ფოთლის ზავის შემდეგ არა თუ არ გადამდგარა, არამედ დარჩა სამსახურში კიდევ რამოდენიმე თვეს და მხოლოდ შემოდგომაზე დაინიშნა სხვა პოსტზე.

მეორე საყურადღებო მომენტი, რომელსაც ბ. დიუგე ეხება, ეს არის ჩვენ მიერ თფილისის დატოვება. როგორ მოსდა რომ ჩვენმა გამარჯვებულმა ჯარებმა უკან დაიხიეს და დამარცხებულ მტერს ბრძოლის ველი დაუტოვეს? ბ. დიუგე ამას ხსნის იმით, რომ 24 თებერვალს საღამოს თფილისი უკვე იყო ბოლშევიკების ჯარების მიერ შემოქალტული. მათ ხელში უკვე იყო გადასული სადგური ავჭალაო. მაგრამ, ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ხომ დახეცავ შეუძლებელი გახდებოდა! სადგურ ავჭალაში და მის სიახლოვეს მტერი არ გამოჩენილა. გარდა 3 მხვერავისა, რომელთაგან ერთი იქვე მოკლეს და 2 დაჭრილი გაიქცნენ. ავტორი საეს ბენი ღალატობს ისტორიულ სიმართლეს და ეს ალბათ იმიტომ, რომ ვიღაცას ესაჭიროება დაამტკიცოს თფილისის დატოვების საშხედრო აუცილებლობა. ბ-ნ დიუგეს ჩვენ ვურჩევთ კარგად მიკითხ-მოიკითხოს ეს ამბავი და მაშინ საინტერესო რამეებს გაიგებს.

ჩვენ არ შეუდგებით წიგნის უფრო წვრილად შეცდომების აღნუსხვას, რითაც ის სავსე არის და არ შეიძლება არ იყოს ასე ზეპირათ დაწერილი ისტორია. მხოლოდ ვიტყვით, რომ პერსონალური მოპაზრენი ისეა გატაცებული ავტორი, რომ დიდ ბრძოლებს, სადაც გენერალი კვინტაძე არ ერია, არც კი იხსენიებს, როგორც მაგალითად ხოლოყოსს, ხოლო სოდანეულის ამბავს იხსენიებს გაკვრით.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ დიუგეს საკმაო ენერგია და ხარჯი გაუწევია ამ წიგნის შედგენით და გამოცემით. მას უეჭველად ჩვენი ქვეყნისათვის კეთილი სურვება, მაგრამ საუბედუროთ ის ჩაკარდნია ხელში უპასუხისმგებლო პირებს, რომელთაც კერძო თუ ჯგუფური მოსაზრებით ეს სურვილები მისთვის გაუმრუდებიათ. ავტორს ჩვენ ვურჩევთ ამ თავის წიგნს მოაშოროს თავისი უადგილო წინასიტყვაობები. შეასწოროს ისტორიული შეცდომები, შეხედოს საქართველოს საკითხს საქართველოს ნაციონალური და არა პარტიული თვალსაზრისით და მაშინ ასეთ ნაირად შეცცვლილი წიგნი თავის სათაურსაც გაამართლებს და ქართულ საქმეზეც სარგებლობას მოუტანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მოძრაობის გზები.

ჩაგრული ერების ნაციონალური მოძრაობის მთავარ ძალას პირველ ყოვლისა საკუთარი ეროვნული ძალები წარმოადგენენ. რაც უფრო მაღლა სდგას ჩაგრული ერი კულტურულად, რაც უფრო ეკონომიურად იგი ძლიერია და პოლიტიკურ-ეროვნულად შეგნებული და შეკავშირებული. მით უფრო ადრე აღწევს თავის მიზანს. ასეთ ერს ყველა დიდ ანგარიშს უწევს: გამბატონებული ერი დათმობაზე მიდის, ხოლო გარეშე ძალებში განმათავისუფლებელი ეროვნული მოძრაობა გამოძახილსა და თანაგრძნობას პოულობს.

ცხადია, საკუთარი ძალა ეროვნული მოძრაობის მთავარი ფუძე და პირობა არის. ამიტომ, ვისაც სურს თავის ერის განთავისუფლების საქმეს ემსახუროს, მან პირველ ყოვლისა ეროვნული ძალების ყოველმხრივ განვითარებაზე უნდა იზრუნოს. ამ ძალების განვითარების სისწორით გაგება—გათვალისწინება და ამის და მიხედვით სამოქმედო ტაქტიკის გამომუშავება, აი მაზე უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო მტრის წინააღმდეგ დარაზმვა შესაძლებელი ხდება. დემოკრატია უმეტეს შემთხვევაში ეროვნულ მოძრაობას სწორ კალაპოტში აყენებს.

კიდევ უფრო ძნელი არის სახელმწიფოთა წინააღმდეგობაში გარკვევა და საერთაშორისო მდგომარეობის სისწორით დაფასება. იმპერიალიზმის ჩაგრული ეროვნებისადმი მბრუნველობა უანგარო არ არის. ისინი დიპლომატია მეტად გამოცდილი და მოხერხებულია, იგი ხშირად იყენებს დაჩაგრული ერის მოძრაობას თავის სასარგებლოთ და შემდეგ მას გამოწურულ ლიმონსავით ისვრის გვერდზე. სომეხთა ერის ბედი ამ მხრით ყველასთვის დიდი გაკვეთილია.

მეორეს მხრით ჩვენ ვიცით ჩეხიის მაგალითი. ჩეხიის პატრიოტებმა, რომელთა შორის გამოჩენილი სოციალისტებიც იყვნენ, შესძლეს ისეთი ეროვნული ბრძოლის წარმოება, რომელმაც მათ სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობათა თავის დროზე გამოყენების საშვალება მისცა. ხანგრძლივი ეროვნული ბრძოლით, მაგრამ შედარებით მცირედი მსხვერპლის გაღებით. ჩეხოსლოვაკიამ შესძლო დამოუკიდებლობის მოპოვება. იგივე ითქმის დაახლოვებით იტალიის შესახებაც. გარიბალდისა და მაძინის ბრძოლამ იტალიას თავისუფლება მოუპოვა და ეს უმთავრესათ იმიტომ, რომ იტალიას როგორც შინაური, ისე საგარეო მდგომარეობა ხელს უწყობდა. სომხების, ალბანელებისა და მაკედონელ რევოლიუციონერთა ეროვნულმა ბრძოლამ კი ბოლოს და ბოლოს უბრალო ავანტიურიზმის ხასიათი მიიღო და მიზანსაც ვერ მიაღწია. და ეს იმიტომ, რომ სომხეთისა და ბალკანეთის რევოლიუციონერები საერთაშორისო მდგომარეობის ურთიერთობაში სისწორით ვერ გაერკვევნ და ამის გამო ისინი ევროპის დიპლომატიის ბრმა იარაღი გახდენ.

მაშასადამე კითხვა იმაში კი არ არის, დასაშვებია თუ არა ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის გარეშე ძალის თანაგრძნობის გამოყენება, არამედ რამდენათ სისწორით გიგიგებ და დაადასტურებ ამ ძალას და მისგან მოტყუეიდ ეული არ დარჩები. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალიზმის ხანაში სახელმწიფოთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობა მეტად დახლართული და დაუდგენია.

ყოველივე ეს გვეუბნება იმას, რომ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა საჭიროებს არა მარტო შინაური ძალების ყოლას, არამედ გარეშე თანაგრძნობასაც. ამიტომ მას აქვს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა. ისინი ერთი მეორის დამატებას წარმოადგენენ და ამიტომ იგი თხოულობს ორივე სფეროში მუშაობას.

ნაციონალურ მოძრაობის საგარეო პირობები შედარებით დღეს უკეთესი აქვს. ვინმემ მსოფლიო ომამდის იყო. ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. გარდა ჩაგრულ ერებისა, იცავს მუშათა კლასი და საერთაშორისო დემოკატია, რომელიც დღითი დღე ძლიერდება და თანამედროვე პოლიტიკის მამძიერავებელ ძალათ ხდება. ჩინეთის ნაციონალურ მოძრაობისთვის ინგლისის მუშათა პარტიის გამოქმაგებას გაცილებით მეტი სარგებლობა მოაქვს. ვინემ ბოლშევიკებს ემისარებსა და მათ აგიტაციას. მეორეს მხრით ერთა ლიგის ავტორიტეტის გაძლიერება თანდათან ნიადაგს აცლის საიდუმლო დიპლომატიას და იმპერიალიზმის აღვირზასხსნილობას პატარა ერთა ჩაგვრის სფეროში საზღვარს უდებს. ამიტომ, ჩაგრულმა ერმა თავისი საგარეო მუშაობა ამ ფარგლებში უნდა აწარმო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გიერთი მათგანი გულწრფელად ურჩევდა პოლონელ ხელმძღვანელთ აეღოთ ხელი თავის განზრახვაზე შესაფერ დრომდის. მეგობართა მიში გამართლდა.

როგორ მუშაობის აწარმოებს ერი, რომლის განმთავისუფლებელ მოძრაობას საერთაშორისო პირობები ხელს არ უწყობენ, ხოლო საკუთარი ძალით კი მტრის დამარცხება არ შეუძლია?

ასეთი ერის მოძრაობა იმ სახელმწიფოს საზღვრებით იფარგლება, რომელშიც მას არსებობა უნდება. იგი გაბატონებული ერის სახელმწიფოს ფარგლებში ცდილობს თავის ეროვნული უფლებების დაცვას და მასზე აშენებს თავის ტაქტიკას იმ იმედით, რომ უკეთესი პირობები დაუდგება. ასეთი ერის პოლიტიკა კომპრომისულია, მარა ამავე დროს საღი და მიზან შეწონილი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს თავის საბოლოო მიზანზე ხელის აღებას. ასეთი ეროვნული ბრძოლის ხანა განვლო პოლონეთმა 1861 წ. აჯანყების დამარცხების შემდეგ მსოფლიო ომის დაწყებამდის. ხოლო უკანასკნელმა მის სასარგებლოთ შესცვალა საერთაშორისო მდგომარეობა და პოლონელებმაც ტაქტიკა გამოიცვალეს.

ასეთივე ეროვნული პოლიტიკის პერიოდი განვლო ქართველმა ერმაც გასული საუკუნის 50 წლიდან რუსეთის დიდ რევოლიუციამდის. ეს არის ეროვნულ მოძრაობის მეორე სახე.

ერონულ მოძრაობის ისტორიამ იცის აგრეთვე შემდეგი მოვლენაც, როცა გაბატონებული ერის სახელმწიფო შინაური და საგარეო პირობების გარეთულების გამო შიგნიდან ირღვევა და იშლება. ამით ჩაგრული ერი სარგებლობს და დამოუკიდებლობას აცხადებს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, საკუთარი ძალების სიძლიერე და საერთაშორისო მდგომარეობა თავის მნიშვნელობას არ კარგავენ და დამოუკიდებლობის საბოლოოთ განმტკიცება მათზეა დამოკიდებული. ეს მოკლეთ ის ზეგები და ის პირობები, რომელნიც ქმნიან და ანეიმარებენ ეროვნულ განმთავისუფლებელ მოძრაობას

1918 წელს, როცა ქართველმა ერმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ზემოთ დასახელებული ეროვნული მოძრაობის სამივე პირობება სუსტათ, მაგრამ მაინც არსებობდენ. ასე რომ 26 მაისი ისტორიულათაც და პოლიტიკურათაც სისწორით იყო გაგებული. საერთო ეროვნული პოლიტიკის ხაზი უეჭველად სწორი იყო. ერი ამ მხრივ ყავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და სწორი გზაც აირჩია, ხოლო მისი უბედურება იმაში იყო, რომ მან ვერ შეასრულა არსებული პირობებისა და ძალების მაკსიმალურათ გამოყენება და განვითარება: ეს მან ვერ მოასწრო, ეს მას არ დაეკალკულ. ბოლშევიზმის კრიზისი, საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ერთა მოძრაობა და საერთაშორისო დემოკრატიის გაკლენის ზრდა პოლიტიკაში გვეუბნება, რომ ქართველი ერი 26 მაისამდის არსებულ ეროვნულ პოლიტიკას აღარ დაუბრუნდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ანგარიში არ უნდა გაუწიოთ რუსეთის ძალთა განწყობილებას, არ უნდა დაუახლოვოთ რუსეთის დემოკრატიასა და სოციალიზმს. არა. ჩვენ მას ანგარიშში უნდა გავუწიოთ, ჩვენმა ეროვნ. ტაქტიკამ რუსეთის ძალთა განწყობილებაც უნდა მიიღოს სახეში. მაგრამ ისიც ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ჩვენ ეროვნულ მოძრაობას ვერ დაუკავშირებთ მარტო რუსეთის დემოკრატიის ბედს, როგორც ეს 26 მაისამდის იყო. მით უმეტეს, რომ რუსეთის დემოკრატია და სოციალიზმი შედარებით სუსტი არიან და ახლო მომავალში რუსეთში ისინი გადამჭრელ როლს ვერ ითამაშებენ. ამიტომ ყოველივე «აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ლიგები» და მათი პლათფორმები ზედმეტია, ისინი მხოლოდ გაუგებრობას იწვევენ, ეროვნულ მოძრაობას ასუსტებენ, ხოლო «ევროკოდერეკანენკებს» აძლიერებენ. დაახლოვებისთვის საჭიროა არა დიპლომატიური ენით დაწერილი პლატფორმები და ცალკე ახალი ორგანიზაციების შექმნა. არამედ სოციალისტური პრინციპის ცხოვრებაში გატარება და მუშათა სოც. ინტერნაციონალის დავალებათა სრულება.

ერთი სიტყვით რუსეთის სოციალისტები ეროვნულ საკითხში უნდა მოიქცენ ისე, როგორც იქცეოდენ თუ გინდ იმავე პოლონეთის საკითხში მარქსი, ბაკუნინი, ვერეკენი და პლეხანოვი. სხვაგვარი მოქმედება კი ნიშნავს, რომ მათ სურთ ამა თუ იმ სახით ვეერდი აუარონ იმ ვალდებულებათა ცხოვრებაში გატარებას, რომელსაც მათ ერთა თვით გამორკვეული პრინციპი და სოციალისტური ინტერნაციონალი ავალებს. ამიტომ შემცდარია ის აზრი, თითქოს «აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ლიგის» ჩქაფდგებელთა მოვლენა რუსის სოციალისტთა შორის პროგრესი იყოს. ეს არის არა პროგრესი, არამედ თავისი სოციალისტური მოვალეობის მოხერხებულათ გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ავლა. ნებით თუ უნებლიეთ მასში უეჭველათ გამოსჭვივის «ერთი და გახუყოფელი რუსეთის» იდეის გავლენა. ეს იგივე ლენინიზმია, რომელიც ერთი ხელით ერებს წყალობას აძლევს, ხოლო მეორე ხელით მათ ძარცვავს. გაბატონებულ ერების სოციალისტების, ამ შემთხვევაში რუსების, მოვალეობა არის იქადაგონ ერთა თავისუფლება და მას ხელი შეუწყონ, თუ კი მათ არ სურთ იმპერიალისტების წისქვილზე წყალის მიწვევა. ხოლო ერთა შორის დაახლოვების პრაქტიკული ნაბიჯები, როცა ეს საჭიროა, უნდა გამომდინარეობდეს თვით პატარა ერებისა და მათი სოციალისტებისაგან. ეს ეს არის სწორი ეროვნული პოლიტიკა და იგი არასოდეს გაუგებრობასა და გადახრას არ გამოიწვევს.

ჩეხია. 19 თებერ. 1927 წ. ,,ბაკი.

ჭიათურის მუშათა ცხოვრებიდან.

(მოგონება)

ბევრმა მარგუნა რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში ჭიათურის სამრეწველო რაიონის ფარგლებში მუშაობა. ვიღებდი უშუალო მონაწილეობას ყველი იმ ბრძოლებში, რასაც აქაური მუშები აწარმოებენ თავიანთ ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მე მინდა მოვიყვანო ამ წარსული ბრძოლების ზოგიერთი ეპიზოდები, ადვადგინო მოკლეთ მთავარი მომენტები ჭიათურის მუშების მიერ წარმოებულ ეკონომიურ ბრძოლებისა.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ჭიათურაშიც ისე, როგორც სხვაგან ჩვენს, იწყება საშინელი კრიზისი, რომელსაც თან სდევს რეპრესიები მუშათა წრეების მიმართ. ორგანიზაციები თითქმის სრულ დაშლა-განადგურების გზაზე იმყოფებიან, მაგრამ 1907 წლიდან კვლავ იწყება აღორძინება და ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. ას ხანებში მუშათა რიცხვი ჭიათურაში არ აღემატებოდა ოთხი ათას კაცს, რომლებიც იყოფიდენ თავს მოწყნივე მუშების მიერ დაარსებულ კოოპერატივის და ფურნის გარშემო. 1609—12 წ. შავი ქვის წარმოება ფართოვდება და მუშათა საერთო რიცხვი 12,000-მდე ადის. საშუშაო დღის სიგრძე მაღალრაშია არის არა ნაკლები 10 საათისა. ხელფასის დაწესება დამოკიდებულია დამქირავებლის ან მისი აგენტის ნება-სურვილებზე (ძხოლოდ ერთად-ერთი ფოროვდის ფირმა იცავდა 1905 წელში მოგებულ 8 საათის სამუშაო დღეს). მათ უსაზღვრო აღვირ-ახსნილობით მოთმინებიდან გამოსულ მუშებმა განიზრახეს პირობების გაუმჯობესება და შეუდგენ სათანადო სამრჩევ სამზადისს. ინიციატივაც და შემდეგ მეთაურობაც ეკუთვნოდა შავი ქვის ვაგონების მტვირთავთა არტელს—რიცხვით 600 კაცამდე. ბრძოლის მომენტი კარგად იქნა არჩეული: 1913 წელი, როცა მუშათა რიცხვი გადასცილდა 15,000-ს და მოთხოვნილება მუშა ხელზე მაინც მატულობდა. ან ასეთ პირობებში მიმართა ჭიათურის მუშათა კლასმა არტელისტების მიერ მომზადებულ საერთო გაფიცვას. ჭიათურას გამოეხმაურა ბათუმის, ფოთის და ტყიბულის მუშებიც. მდგომარეობის სირთულის და საქმის სიდიადიის გამო გაფიცვის ბიურო იწვევს საერთო ხელმძღვანელებათ ნოე ხომერიკს, ზაქარია გურულს და კოლია ჭუმბურიძეს. შემუშავებულ იქმნა მთელი რიგი ხელფასის მომატების მოთხოვნილებების კატეგორიების და საშუშაო ადგილის პირობების მიხედვით. ზოგად მოთხოვნილებათა შორის წამოყენებულ იქნა მაღალი ანაზღაურება, ბინები, სელ ადგილებისთვის—ბლაშრი, ჩექმა; მშრალისთვის—ხალათი, შარვალი, წინსაფარი და სხვა და სხვა...

გაფიცვას სასტიკად წინააღეუდგა მრეწველებთან ერთად ხელისუფლებაც. ადგილობრივ ჩამობრძანებად ქუთაისის გუბერნატორი და გასცა ბრძანება, რომ 24 საათში მუშები ან დაბრუნებოდეს სამუშაოს, ან დაეტოვებიათ ჭიათურა. მაგრამ ნოე ხომერიკმა იმ წამსვე მისცა დეპეშა, გაფიცვის ბიუროს სახელით, მესამე დუმის სოც.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარეს. აწკანსვენებულ კარლო ჩხეიძეს, სადაც აცნობდა, რომ გაფიცვას ჰქონდა მხოლოდ ეკონომიური მიზნები. დუმის სოც.-დემოკ. ფრაქციის ჩარევამ გასჭრა. გაფიცულებს შეძლეს მიეცათ განეგრძოთ ეკონომიური ბრძოლა, გუბერნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორის რისხვა აცილებულ იქნა. გაფიცვა გაგრძელდა სამი თვე და დასრულდა მუშაობის გამარჯვებით. მოპოვებულ იქნა 8 საათის სამუშაო დღე და ხელფასის შემდეგი პირობები:

მაღაროში მომუშავეთათვის:		ქარხანაში მომუშავეთათვის:	
ყელის მუშას (დღიურათ):	1 მან. 90 კაპ.	დაზგაზე	1 მან. 80 კაპ.
მებიგეს	2 »	წყალში	1 » 90 »
ვაგონის გამგორებელს .	1 » 80 »	დრობილკაზე	1 » 50 »
მენჩიბეს	1 » 50 »	ვაგონის მტვირთავს .	2 »
ქვის გამრჩევს	1 » 20 »	მეურმეს	4 » 40 »

ამას გარდა მუშებს ეძლეოდა კატეგორიის და საუბნოების მიხედვით: პლაშრი, ჩექმები, სამუშაო ტანსაცმელი, ხელთათმანი, წინსაფარი; აგრეთვე—უფასო ბინები, აბანო, თვეში 2 გირვანქა საპონი, ჩაი და სხვ...

ამ გამარჯვების სათანადოთ დასაფასებლათ საჭიროა მოვიგონოთ მაშინდელი ფასები მუშისთვის პირველ საჭიროების სურსათ-საქონელზე. გირვანქა პური ღირდა პირველი ხარისხის—5 კაპ., მეორესი—4 კაპ., მესამესი—3 კაპ., ერთი გირვანქა ფხვნილი შაქარი—12 კაპ., ნატეხი 15 კაპ., კვარტი ღვინო 25 კაპ., სადილი 2 თვისაგან 15 კაპეიკი. ერი არშინი ჩითი—16 კაპ., მიტკალი 18 კაპ., წუღა 120 კაპ., ჩექმა ხროშის 7 მან., ერთი გრო. ძროხის ხორცი 15 კაპ., ცხვრის 20 კაპ., ბარილი 2 კაპ. და სხვ.

გაფიცვის მსვლელობის დროს ადგილი ჰქონდა მრავალ ინციდენტს მუშებსა და ადმინისტრაციას შორის. მაგალითისათვის: ბოქაულმა ობობეკა ცალიკოვმა სცემა არტელის მუშას. დიმიტრი ჯაგნიძეს. ამის გამოეხმაურა მთელი კავშირი და შესაბამს პასუხისგებაში მიეცათ ბოქაული, რომელსაც მიესაჯა ორი თვის ციხე, რის შემდეგ მოხსნილი იქნა თანამდებობიდანაც. საერთოთ ამ გაფიცვის შემდეგ მუშებმა საყოველთაო პატივისცემა და დიდი გავლენა მოიპოვეს.

დიდი ომის მიერ გამოწვეულმა ეკონომიურმა და ფინანსიურმა კრიზისმა ეს პირობები მოშალა. მაგრამ 1917 წლის რევოლიუციის და განსაკუთრებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცების შემდეგ პიათორის მუშებმა ყოველგვარი უშუალო ბრძოლის გარეშე მოიპო�eეთ ჩვენთვის სასურველი პირობები; ესენი: თვეში საათის სამუშაო დღე კანონით იქცა.

შემოღებულ იქნა შემდეგი ხელფასი (ნაანგარიშევია ოქროს მანეთებში):

მაღაროში მომუშავენი:		ქარხანაში მომუშავენი:	
ყელის მუშას	2 მან. 20 კაპ.	დაზგაზე	1 მან. 90 კაპ.
მებიგეს	2 » 40 »	წყალში	1 » 95 »
ვაგონის გამგორებელს .	1 » 90 »	დრობილკაზე	1 » 70 »
მენჩიბეს	1 » 75 »	ვაგონის მტვირთავს .	3 » 30 »
ქვის გამრჩევს	1 » 70 »	მეურმეს	5 » 25 »

ამას გარდა მუშებს უფასოთ ეძლეოდა სპეციალური ტანსაცმელი ორჯერ წელიწადში და ყველაფერი ის, რაც 1913 წლის გაფიცვაში იქნა მოგებული და რაც ზემოთ ჩამოთვალეთ.

რვა საათის სამუშაო დღე ისეთი სისასტიკით ტარდებოდა ცხოვრებაში, რომ ერთი მოუწყველი, რომელიც შეეცადა მაღაროში აკორდის შემოღებას, დაუყონებლივ დატუსაღებული და პასუხისგებაში იქნა მიცემული, როგორც სისლეს დანაშაუდ.

დაარსდა მუშებისათსის «შუშათა მაგიდა», რომლის დანიშნულება იყო მიეწოდებია მუშების და მათი ოჯახებისათვის სურსათ-სანოვაგე დაკლებულ და ხშირათ ნახევარ ფასებში.

ყოველგვარი დავა კაპიტალისტებთან შრომის პირობების და ხელფასის შესახებ სწარმოებდა კოლექტიურად. პროფესიონალური კავშირების საშუალებით და, უკანასკნელ შემთხვევაში, მუშას ჰქონდა გაფიცვის უფლება. ყოველწლიურათ თვითეულ მუშას ეძლეოდა ორი თვის შვებულება ჯამაგირის შენახვით. როგორც თვითონ, ისე მისი ოჯახის შემადგენლობა დაზღვეული იყო ყოველგვარი უბედურ შემთხვევებისაგან. ექიმობა უფასო და მუშის ავათმყოფობის დროს ხელფასის შენახვა. მუშების დათხოვნა და მიღებაც მუშათა საერთო კანტროლის კვეშ იყო დაყენებული. მოწყობილ იქნა სხვადასხვა ადგილას მუშებისათვის საღამოს კურსები, სადაც იღებდენ ელემენტარულ ცოდნას და ეცნობოდენ მსოფლიოს მუშათა მოძრაობის საკითხებს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მუშებს ჰქონდათ საკუთარი სასადილო და საკუთარი კოოპერატივი. ხოლო რომლისაც სახოგადო მშვიდობიანობას რიიმ საშიშროება ელოდა, იგივე მუშები იღებდენ იარაღს და დღისით ნამუშევარნი ღამით ქალაქს სდარაჯობდენ მილიციასთან ერთად, ან მიდიოდენ ფრონტზე, თუ გარეშე მტერი იმუქრებოდა.

1921 წლის მარტიდან პიათერის მუშისათვის, ისე როგორც მთელი საქართველოსთვის, ხელახლათ იწყება წამების ხანა. ბევრ უბედურებებთან და შეურაცყოფასთან ერთად ის გაძარცვის ბრძოლით და რევოლიუციით მონაპოვარი უფლებებისაგან. და პირველ ყოველისა 8 საათის სამუშაო დღისაგან. უცნაურის გაოცებრობით და უხვათსობით შეაპარეს აკორტის სისტემა. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: 1924 წლის პირველ ნახევარში მე მქონდა მონდობილი მთავრობის პირველი ქარხნის მაღაროებში მუშათაგან 450 კაცით და უსიტყვოთ ვემორჩილებოდი, როგორც პროფკავშირის, ისე «ჩემს» თავმჯდომარის, კარაკე მოდებაძის, ბრძანებებს. ერთ დღეს ვღებულობ კ. მოდებაძის განკარგულებას, რომ დაუყონებლივ გადამეყვანა ყველა მუშები ნარდათ მუშამობაზე, რაც მე ვერ შევასრულე თუ... არ შევასრულე. შემდეგ ამობრძანდა სამუშეკარზე თვით კ. მოდებაძე და მისცა მუშებს წინადადება: ან დაეტოვებინათ სამუშეკარი, ან გადასულიყვენ აკორდზე. ყველნე მომუშავენი გააყოფია სამ კატეგორიათ: პირველს უნდა მოეტანა 9 ვაგონი ქვა (ვაგონში ჩადის 55-72 ფუთამდე), მეორეს—7 ვაგ. და მესამეს—6 ვაგ.; ორ კაცს კიდეც უნდა გაეცხო და კიდეც უნდა გამოეტანა გარეთ, 150 საჟენის მანძილზე. 25 ვაგონი ქვა. გარეთ ერთმა კაცმა უნდა გაარჩიოს ყველა ეს ვაგონები. ხის დამჯუნეს უნდა გაეკეთებინა ხუთი წყალი ბიგი და სხ...

ყოველივე ამას გაკანებული მუშამობით მუშები ანდომებდენ 9—10 საათამდე, ხოლო ამ დროის განმავლობაში უწევთ შემდეგი ხელფასი:

მაღაროში მომუშავეთ:		ქარხანაში მომუშავეთ:	
ყელის მუშას . . .	2 მან. 50 კაპ.	დაზგაზე	1 მან. 60 კაპ.
მებიგეს	2 » 60 »	წყალში	1 » 80 »
ვაგონის გამგორებელს .	1 » 80 »	დრობილკაზე . . .	1 » 50 »
მენიჩბეს	1 » 80 »	ვაგონის მტვირთავს .	2 » 52 »
ქვის გამრჩევს . . .	1 » 50 »	მეორმეს	7 » 50 »

(ნაანგარიშეკია ჩერვონეკის მანეთებში)

მთავრობის მაგალითით მუშამ ეს 8 საათის სამუშაო ერთად ბევრი ხანა მუშამა უფლებებიც. ე. წ. ფროფკავშირები კაპიტალისტთა კავშირებზე უარესი გახდენ მუშებისათვის. მათი გაბერილი, არაფრის მოსაქმე შტატის შენახვა მძიმე ხარჯათ აწევსთ მუშებს; მუშათა კოოპერატივები ჩამოერთვა მუშებს და გადაკეთდა «ეპოთ», რომელიც ვაჭრობს ბაზრის ფასებში, რაც მიუწდომელია მუშებისათვის; «ეპოს» მუშტარია მხოლოდ ბოლშევიკური ბურჟუაზია. აგრეთვე ჩამოერთვათ მუშებს ქეელი ბინები, სადაც მოთავსებულნია დღეს კომენინტური დაწესებულებები ან ჩაყენებულია მათი მოსამსახურეები, რომელთა რიცხვი გაათკეცებულია სამხარო ორგანოების ზესტაფოდიდან ჭიათურაში გადმოტანის შემდეგ. უბინობის გამო სიბინძურეს და ჭუჭყში ჩაცვენილ მუშებს გაუნახევრეს სანინის რაოდენობა. ყოველ კვირის მაგიერ აბანო ეძლევათ თვეში ერთხელ და ისიც ფასით. გაფიცვის უფლება, როგორც მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე, ცხადია, აქაც მომსპარია. დაზღვევა ფრთა შეკვეცილი და ორი თვის სავალდებულო დასვენება ერთ თვეზეა ჩამოყვანილი.

განსაკუთრებით დაზარალდენ შ. ქ. ვაგონის მტვირთავი მუშები საკორდო ნორმის ახალი გადამიჯვნის შემდეგ; მათი შრომა უსაზომოდ გადიდებულია.

აი შედარება: 1917-დან 1921 წლამდე პირველი კატეგორიის დამტვირთველ მუშას უწევდა 1 საათში 650 ფუთის დატვირთვა (მეორე კატეგორიისას—550, მესამესას—450), რისთვისაც ის იღებდა საათში 41 და ერთ მეოთხედ კაპეიკს. საბჭოთა ხანაში კი მან უნდა დატვირთოს 1 საათში 1200. მეორე კატეგორიისან—900, მესამენ—675 ფუთი, რისთვისაც უწევეთ საათში-25,2 კაპეიკი.

რომ მკითხველმა გასაჯოს რამდენათ ღატაკია ის ხელფასი, რომელსაც დღეს ჭიათურის მუშა იღებს, მოვიყვანოთ ისევ უპირველეს საჭიოოვენის სურსათ-სანოვაგის ფასები საბჭოთა საქართველოში: ერთი გირვანქა პირველი ხარისხის პური ფასობს—

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 კაპეიკი, მეორესი—11 კ. და მესამესი—10 კ.; ფხვნილი შაქარი გირ.—33 კაპ., ბალბაბა—37 კ.; სადილი ორი თავისაგან პურით—80 კ., ღვინო 1 კვარტი—1 მან. 20 კ., გირვანქა ძროხის ხორცი—35 კაპ. ცხვრის—45, მარილი გირ.—2 კაპ.; საშუალო ღირსების ჩითი მეტრი—46 კაპ., მიტკალი—120 კ., ფული—7 მან., ჩექმა—120 მანეთი, ჩვეულებრივი ფეხსაცმელი ხრომის—40 მან. და სხვ...

რაც შეეხება მუშის საშოკალაქო ფულებებს, აქ ის ჩაყენებულია არსებითად მონეურ მდგომარეობაში. ყოველ ჩეკიანს, ყოველ კომსომოლს და მილიციელს შეუძლია ის დაატუსაღოს, სცემოს, შეურაცყოს და მოკკლას კიდეც. ბუნებით ველურმა მილიციის უფროსმა, ალ. ვაშაძემ, ჯერ საშინლათ სცემა და შემდეგ მაუზერით დასჯრა ვაგონის მუშა, ვლასა ბრეგვაძე. ამას გამოეხმაურა მეკირთვთვა კვაშირი და მოითხოვა ვაშაძის პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ ხელისუფლებამ მას წარჩინება მისცა, მაზრის ინსტრუქტორად დანიშნა.

ეხლა როგორ მოექცა მუშებს თვით წითელი კაპიტალისტი კარაე მოდებაძე? წინაადმდეგ საერთო წესისა მან ფარი უთხრა მუშებს ორი კვირის სალიკვიდაციოს მიცემაზე, თუმცა მუშათა თავვრობის ქარხანაში ერთბამთან შეაჩერა ორი კვირით წინდაწინ გაუფრთხილებლათ. თან კ. მოდებაძემ მოსთხოვა მუშებს დაუყონებლივ გაეხადათ ტანზე ქარხნიდან მიღებული ტანისამოსი და ფეხსაცმელი და ჩაებარებინათ უკანვე. ხოლო, როდესაც მუშებმა წინაადმდეგობა გაუწიეს, მან ინ წამსვე გამოუცვითა კუთვნილი ჯამაგირებიდან თითოს 29 მან. 70 კაპ...

მუშათა პოლიტიკური უფლებებზე ლაპარაკი «მუშურ-გლეხურ» სახელმწიფოში ხომ სულ ზედმეტია.

ასეთია ჭიათურელ მუშების მდგომარეობა დღეს, და განა გასაკვირალია, რომ ისინი აკაანყების დღეებში თავდავიწყებით ეკვეთენ მომხდურ ხელისუფლებას! მოსკოვის ავგენტები გულუბრყვილობას იჩემებენ, თვალთმაკცობენ—თითქოს მათ არ ესმოდეთ რამ გამოიწვია ჭიათურის პროლეტარიატის «საბჭოთა ხელისუფლების» წინაადმდეგ ერთსულოვანი გალაშქრება და ამაოთ სცდილობენ მის «გაუგებრობათ» და «უბრალო შეცდომათ» მონათვლას.

შავი ქვის მუშა ვალიკო ჩუბინიძე.

გ ა კ ვ რ ი თ.

შულავერის გმირი ფ. მახარაძე განაგრძობს დღესასწაულს, თავის თავის ქებათაქებას და ქვეყნის დაბრიყვებას. ის უკეთებს ჯამს თავის ექვსი წლის ნამოკმედარს და რიხიანათ სწერს: «მიღწევები» დიდია, ქვეყანა ყვავდება, «ახლა შეიძლება ვინმე შეგვეკითხოს, ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ ამა რას გვეტყვით მუშების და გლეხების მდგომარეობზეო?» სწორეთ მიგნებული შეკითხვაა, მარა ის ავტორს არ ეკუთვნის; მისი სიტყვით «ჩვენ ვიცით თუ საიდან, რომელი ბანაკიდან გაისმის ეს შეკითხვები»; ეს ალბათ ჩვენი ბანაკია. სწორეთ აქედან გაისმის ასეთი შეკითხვა, აქ არის ზრუნვა ბოლშევიკებისთვის ასეთ უსიამოვნო საკვანზე, როგორიცაა გლეხების და მუშების მდგომარეობა. და თუ მართლა ქვეყანა ყვავდება, პირველ ყოვლისა უნდა ყვავდებოდეს გლეხის და მუშის ყოფა-ცხოვრება «გლეხურ და მუშურ სახელმწიფოში». მაგრამ წარმოდგინეთ, ბატონი ფილიპე ვერაფერს სანუგეშოს ამ მხრივ ვერ გვეუბნება. ის განაგრძობს: «ჩვენ ვიცით, რომ მუშების და გლეხკაცობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი». (ალ. № 45) ჩინეულები აღსარებაა; ექვსი წლის სისხლიანი მართველობა გამოტყდა, რომ ხალხის მდგომარეობა ჯერ არ გაუმჯობესებულა და იმედს იძლევა მომავალში ზომებს მივიღებთო. მაგ რას დღესასწაულობენ, ვის გამარჯვებაზე გაყვირიან? ერთათ-ერთი კომუნისტური პარტიის და მისი მეთაურების. ამათი მდგომარეობა მართლაც გაუმჯობესდა და შულავერის მრეკიქულიც დიდ ზეიმშია.

* * *

და რადგანაც საზეიმო საბუთები არაფერი აქვს გარდა თავის ქებისა. მოყოლია ჭორის გუდის გაბერვას და ზედ წამოწოლილი ცრუობაზე დაგრ ვებას. მისი მუშობით მენშევიკური მთავრობამ თურმე «ყოველივე კავშირი გასწყვიტა» მასკოვთან, განსაკუთრებით ეკონომიურით! მაგ რა იყო სავაჭრო ხელშეკრულების დადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა საქართველო-რუსეთ შორის, თუ არა ეკონომიური კავშირის დაჭერა? ფილიპე შულავეფელი ამ ფონით ვერ გავა, ეს მან კარგად იცის და მაა აყოლებს უზვათ ასეთსავე «თავისუფალ შემოქმედებას»; მენშევიკებმა ძალით დაიპყრეს საქართველო, ჩვენც ასევე ძალით დავიპყაროთო! ვითომ და ამით გავქვითდითო! ეს მოხუცი უკვე ბავშვის ასაკში მოქცეულია და ვეღარ არჩევს თავისუფალ სახელმწიფოს შინაგან უფლებრივობას გარეგან თავდასხმისაგან. მისი მომავალნიენელი მოსკოვი ერთხელ ამას კარგად არჩევდა და საქვეყნოთ გამოაცხადა—საქართველოს შინაგან საქმეში არ ვერევითოო. მისი ფონი მახარაძე კი ახლა ამაყათ გაიძახის—ჩავერიეთ და კიდევაც კარგი ვქენით, განა მენშევიკებმა არ ჩაერიენო! ქართველი ხალხის მიერ თავისუფალთ დაყენებულ მთავრობას ის ამ ხალხის საქმეში ჩარევას უწოდებს! ეს საქართველოს, უკაცრავთ პასუხია «პრეზიდენტი» ზომაზე მეტათ აუწევია უკანტროლო ძალა-უფლებას, რას ლაპარაკობს ადარ იცის. საწყალ ცხაკაიას ფილიპეც მიმატებია, ესეც ჩქარა დაიწყებს ქვის სროლას.

* * *

ეს გადაჭარბებული არ გეგონოთ. წაიკითხეთ მისი სხვა ჩვენებებიც და დარწმუნდებით. აი მაგ. რას სწერს ჩვენზე თებერვლის რევოლიუციის ათი წლის თავზე: «ის (მენშევიკური პარტია) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1905 წლის რევოლიუცია იყო შეცდომა, ხოლო რაც შეეხება მომავალს, ის გადაჭრით ფიფაღდა რუსეთში რევოლიუციის განმეორებას... ... მენშევიკები წინააღმდეგი იყვნენ 1917 წ. თებერვალ-მარტის რევოლიუციის. მათ არ უნდოდათ ეს რევოლიუცია» და სხ. და სხ. (ალმ. № 57). ერთი სიტყვით, არც ერთი რევოლიუცია მენშევიკებს არ სურდათ, ამისათვის არ უმუშავიათ—აი ამ ცრუპენტელას მორიგი ჭორიკანობა. მაშ რანაირათ მოხდა, რომ 1905 წლის და 1917 წლის რევოლიუციათა მეთაურობა და წინამძღოლობა მენშევიკებს ხვდა წილათ და ბოლშევიკები არსად არავის უნახავს. ესენი ხომ ბოლოს გამოძერეს სარეობიდან, როცა მტერი უკვე უკუგდებული იყო, მსგავსათ ძველი დროის გენერლებისა, რომელნიც საჯარიდან ომის შემდეგ გამოდიოდენ. ასე დაეცემა კაცი დესპოტიაში, ბაზის და სიტყვის დეენში. რაკი ენის შემბრუნე არავინ ყავთ, ამიტომ გონითაფ ტიტველი გავლაც შეიძლებაო და ყოველივე მორალური სამოსელს მოკლებული გაზეთის ფურცლებზე დანავარდობენ. ახლა ქართველი ხალხს აჯერებენ, რომ რუსის ობლიზით შამოსული მოძალადენი დიდი რევოლიუციონერები და მოამაგენია. მათ სურათებსაც დიდის ამბით ათავსებენ, თითქოს თებერვლის რევოლიუციის მეთაურები სწორეთ ესენი იყვენ. ესენი გახლავთ:

* * *

თვით შულავეფის გმირი ფ. მახარაძე. გაიცანით ეს მამაცი მოღვაწე. არავის არაასოდეს არ უნახავს არც ჩვენში, არც რუსეთში რაიმე რევოლიუციაში, გამოსვლებში, ორგანიზაციის ხელმძღვანელებში, ბრძოლაში და თავის დადებაში. თავის პირად საქმეს ისე აპახრაკებდა, რომ არც ერთი რეაქციის ტალახიც კი არ მოხვედრია, ციხის კარებს აბა ვინ აჩვენებდა. დევნას და არალეგალურ ცხოვრებას მოკლებული. იყო თავისი თავის მცირე საკოხნელზე დაბმული და თავისი «ბოლშევიკობით» კმაყოფილი.

რევოლიუციის მეორე გმირი—ცნობილი ჩერჩილი მიხა ცხაკაია; არსად არავის არ უნახავს არც ერთ რევოლიუციაში. ცხრაას ხუთს შორიდან უყურებდა, როგორც ყველა ობივატელი, სამგალეროთი ისეთი შიშით იქმნა შეპყრობილი, რომ უცებ გადაიკარგა. ევროპაში მოკურცხლა, და «შეიკომპანიით» დაავათმყოფებული ენენვაში დასახლდა. აქაც თავის ბინას სასტიკათ მალავდა, ვაი თუ დამეპიროსნო. ისე გულადათ გაატარა თავისი ბოლშევიკობა ათ წელიწადს და მხოლოდ დიდი რევოლიუციის შემდეგ გაბედა სამშობლოში დაბრუნება.

მესამე დიდი რევოლიუციონერი ყოფილა ორახელაშვილი. კაცი ბნელი წარსულით, ომის დროს თავი ისახელა იმით, რომ ყველა კანცელარია შესძარა სტანისლავის მისაღებათ. ბუნებით კარიერისტი, ბოლშევიკობაში ახალი კარიერა გაკეთა.

მეოთხე დიდი რევოლიუციონერია მალვა ელიავა, ცნობილი ქამელეონი. უსაქმო მოლაყბე, პოლიტიკურ მოღვაწეთა დერეფნების მტკეპნელი, მენშევიკთან მენშევიკი, ბოლშევიკთან ბოლშევიკი. არასოდეს არაფერი დაუთესია და არც ვინმეს რიმე საქმეში უნახავს.

ერთი სიტყვით ყველა გამოჩენილი მხდალი, წარჩინებული უნიჭო და სამაგალითო ქარაფშუტა საბჭოთა დიდი რევოლიუციონერია, საქართველოს მესვეურია, დაც-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლილი მოედნის ბატონ-პატრონია. და რადგანაც დღეს ჩვენი ქვეყანა ჩალით დაბურულია, ეს ვაკბატონებიც უქმდოთ დადიან და თავიანი საძრახი წარსულის დასაფარავად ორჩოფეხაზე შემდგარნი ცრუპენტელაობით მამლაყინწობენ.

* * *

მსგავსნი იკრიბებიანო. ნათქვამია. ამ უსაქმურთა გუნდს ვინ მიეკედლება, თუ არა მათსავით უსაქმურნი და ლაჩარნი. ამიტომ რა ფასაკვირია, დღეს გელეიშვილიგომპრარელნი მათზე ფიცულოობდენ და მათ ბანაკში თავს იყრიდენ. ბ. პეტრეც შეუდგა თავიანი აღების დახმარებას და «ახალ გზაში» წერილებს წერილებზე აცხობს «ორიენტაციაზე» და.რასაკვირველია. შულავერის მმირების ორიენტაცია მისი გზა და ხიდია. ურუსოთ არ შეგვიძლია, ოსმალო და ევროპიელი წაგვიდეს—გაყვარის ის. ეს ძალიან კარგი, ბატონო პეტრე, მარა რანაირათ იყო ის, რომ როცა ჩვენ ოსმალოც გვეშუქრებოდა და ევროპიელნიც, მაშინ გაყვიროდი ყველაზე უფრო ხმამაღლა: არ გვინდა რუსი, ჩვენც კი ვუპატრონებთ თავსო; ხოლო მას შემდეგ, როცა ოსმალოც თავიდან მოვიშორეთ და ევროპის იმპერიალისტებიც, კეში შემოაბრუნეთ და ურუსოთ ცხოვრება არ გინდათ. გამოტყდით, რომ აქ არაფერი შუაშია «ორიენტაცია» და პრინციპები. აქ უბრალო ანგარიშია, უსდინ ბატონებს რითაც შეგიძლიათ. მახარაძე-ელიავასანა «რევოლიუციონერებს» გელეიშვილისანა ამქარი ეკადრება; ახლა ამ პინჭრაქების მეფობაა; ნამდვილი რევოლიუციონერები და თავდადებულნი ან მიწაშია ან გადაკარგული და დამბრალია.

* * *

ეს უკანასკნელნი მაინც თავისას არ იშლიან: ყალბ რევოლიუციონერებს ნამდვილნი მოსვენებას არ აძლევენ და ბრძოლას განაგრძობენ. ამ ბრალდებით შეფფოთებულან «ახალ გზელნი» და შეკრებილან სათათბიროთ იმაზე, თუ მეწშევიკები როგორ ჩაეჩუმნ. ოცი რიცხვის დიდი ლიდური ძამანაშვილი მოუთხრობს დაფეთებულ აუდიტორიას: «ისევ ახმაურდა ემიგრაცია და ადგილობრივი არალეგალური ორგანიზაციები. ამ გარემოებამ ჩვენ წინაშე ახალი ამოცანები დასვა» (კომ. № 42). ერთი სიტყვით რაკი მებრძოლნი ახმაურენ, მოდი ჩვენ, მოხელეებმაც. ავსმაურდეთო. მარა რა უნდა ოქვან? «ჩვენ ვეტყვით შმრომელ ხალხს სრულ სიმართლესო», აცსადებენ ეს ელიავას შინაყმები. სწორეთ ისეთ სიმართლეს, როგორსაც მათი დალალილმა ფილიპე მახარაძე ასაღებს. ბოდ შევიკეტნ და სიმართლეს ჯერ ერთთან არ უბალახიათ. ხოლო ძამანაშვილ-ხელაძეთა სიმართლე ხომ ჩეკიდან მომდინარეობს მხა-მხარეული და თან ახლავს გვარიანი გასამრჯელოც. ჩეკის «ხელისუფუყს» რა შეუძლია ვინმეს მისცეს, თუ არა სულის ჭუშეი და ალფეი ხელაძესაც ეძლევა შემთხვევად დაიმსახუროს მისი უზი კალთები. ისიც თხზავს გეგმებს ჩვენს გასანადგურებლათ. როცა თხა გასუქდა. წვეებზე ხელი ჩამოისვა და ამაყათ წაიპეტელა: ნეტავი ერთი მგელი შემხვდებოდეს. ვაყურებიდ სეირსო. ჩეკის სასუქი «ახალი გზნის» თხებს პეტელოობს კი ასწავლის, უეშეიდლია, მარა რქას ვერ გამოაბამს საბრძოლველათ. ეს მათთვის ბუნებას არ მიუცია.

ᲒᲘᲠᲩᲘᲗ ᲛᲝᲓᲒᲠᲔᲣᲚᲘ.

იმ ამბავში, რომელიც მინდა გიამბოთ აქ, ახალი არაფერია; ის ჩვეულებრივი და ყოველდღიური მაგალითია საქართველოს ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ. მაგრამ მე მაინც მინდა მოლეთ აეწეროო ის სურათები, რომლის მოწმე ვიყავი, და ის განცდები და მდგომარეობა, რომელიც გამოვიარე ორი წლის განმავლობაში ჩეკა-ცხეთეს ყოფნის დროს.

პირველი ჩემი დაპატიმრება მოხდა 1924 წელს. ვიყავი მაშინ 18 წლისა. ვირიკებებოდი საქ. უნივერსიტეტის მსმენელათ, ამავ დროს ვეკუთვნოდით საქ. ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციას. ეს იყო 6 აგვისტოს: ვალიკო ჯუღელთან ერთად ერთი კოტების შემდეგ სახლში ვბრუნდებოდი; იქნებოდა ღამის 10 საათი, როცა პასტერის ქუჩას შევუხვიეთ. მივედით თუ არა ქუჩის უფრო ბნელ ნაწილში, უკანიდან თავს დაგვესხა სამი რევოლვერ ამოღებული ჩეკისტი: მოროზი, მიქაძე და ერთი ებრაელი, როშელის გვარი აღარ მახსოვს. მოროზი და მიქაძე მისცივდნენ ვ. ჯუღელს, მესამე კი მომვარდა მე, გულზე რევოლვერი დამადო. ამ ყოფაში და საშინელი გინებით დაგვაბრუნეს უკან. გზაში ვ. ჯუღელმა განიზრახა წინააღმდეგობის გაწევა და დაეპირა კიდეკ

30669

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ჯიბიდან რევოლვერის ამოღება, მაგრამ გაუგეს: მაშინვე ჩამოგლიჯეს ორთავე ჯიბე და იარაღი ამოაცალეს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, კიდევე უფრო უფიერი განებით მიგვიყვანეს მუშკაში (ᲪᲘᲠᲮᲘᲜᲘ Ჯ.). აქ ჩვენდან გამოუძახეს ატტომბილებს. ცდა დიდ ხანს არ დაგვეკარგია: რამოდენიმე წუთში მოვიდა ორი ატტომბილი, ცალკ-ცალკე ჩაგვსხეს და წაგვიყვანეს ზაკჩეკაში. მე მახლდა ერთი ჩეკისტი და მთელი გზის განმავლობაში გულზე რევოლვერი ქჭონდა მობჯენილი. რისი ეშინოდა—ღმერთმა იცის-ცხელი იყო, რომ გაქანებული ატტომბილიდან ვერ გადავხტებოდი. ჩეკის კომენდატურაში თითქმის სამი საათი მომიხდა ცდა. 2 საათი სრულდებოდა რომ მოვიდა საქ. ჩეკის თავმჯდომარე, კვანტალიანი, და შემეკითხა: «ვინ დაიჭირეს ოქვეთანო?» გვარი არ ვიცი მეთქი, ვუპასუხე. გაბრაზებულმა გასცა განკარგულება: ჩაადგეთ ეხლავე სარდაფში. მართლაც, მაშინვე ჩამიყვანეს სარდაფის პატარა ერთეულში, რომლის სიგრძე თორმეტი მტკაველი იყო. და სიგანე ხუთი (ამა მთელი დღეების განმავლობაში რა გამგეკეთებინა, რომ ჩემი «ბინაც» არ გამეწმა). შიგ იდგა პატარა დამტვრეული ტახტი და საშინელი მახრობელა სუნის გამომშვები, დაუხურავი «პარაშა». ბევრი ვთხოვე გაეტანათ ის იქედან, მაგრამ არა ქნეს.—ჩვენც ეგ გვნდა, რომ შეწუხდეთ, თუ არა აქ კი არ შემოგიყვანდითო.—მიპასუხა ჩემ თხოვნაზე ზაკჩეკის თავმჯდომარე მოგვილვსკიმ. მეორე დღეს წამიყვანეს «გამომძიებელთან», იმავე მოროროხთან, რომელმაც დაგვიჭირა. შესელისთანავე მან დამიცა იგივე კითხვა, რაც წინა დღეს კვანტალიანმა. იგივე ვუპასუხე. მპოროხმა მიყვირა: «იცი მე ვინა ვარ? მე მپოროხი ვარ» და ხელში რევოლვერი აათამაშა, რომელიც იქვე მაგიდაზე იდო. (მართლაც ამ დროს მپოროხი განთქმული იყო თავისი სიმკაცრით, რითიც, როგორც ხედავთ, თითონვე ამაყობდა). რადგან ამით ვერაფერს გახდა, დაეკახა ჩეკის ზედამხედველთან, და უთხრა: ჩაადგეთ ისევ იქვე და სანამ ჭკვაზე არ მოვა და თითონვე არ დაგვიძახებს, არ გამოიყვანოთო. ჩამიყვანეს ისევ იმ საკანში და მართლაც 20 დღის განმავლობაში ღამე დღეთ მიქციეს და დღე ღამეთ. რადგან სინათლეს მხოლოთ ღამე იძლეოდნენ, დღე კი სრული სიბნელე იდგა. ფილა-ს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბი, დავინახეთ, რომ ერთეულებში უკვე სხვა ხალხი ჩაესვათ, მორიგ ზედამხედველს კი გამოაკ!ონდა იქიდან ყოფილებს ბარგი. აკ მივხვდით, რომ იგინი ღამით დახვრიტეს. დღისით თუმცა სიწყნარე იყო ჩვენში, მარა მთელი დღის განმავლობაში, აგრეთვე შემდეგ დღეებში. მოყავდათ განუწყვეტლივ ახლათ დაპატიმრებული ხალხი. ღამით კი ისევ გაპყავდათ და ამის შემდეგ მათ ვეღარ ვხედავდით.

30-ს დილით კარებში რომ გავიხედე, წარმმიიღა საშინელი სურათი. შუა ეზოში წყალსადენი იყო. მას შემოსდოდნ მთელი ჩვენს კომენდატები. მათი თეთრი ხალათები და წაღები სისხლისაგან გაწითლებული იყო. ამ სისხლს იბანნენენ, ერთმანეთს ეოხუნჯებდნენ და იცინოდნენ. ამ სურათის ვეღარ გავუძელი და გამოვბრუნდი უკან. მაგრამ, სად წაუხვალ ჩვენ ჩვენისტს. არ გასულა ნახევარი საათი, რომ ყველა ესენი ამდგრეული, აწითლებული თვალებით, ბარბაცით (არ ვიცი დაღლილობისაგან თუ ალკოგოლისაგან) შემოგიდნენ საკაში მორიგეობის ჩასაბარებლათ. ჩვენთან წინა დღით დაეჭიერი პოლკოვნიკი ხერხეულიძის ცოლი იყო. მან ერთ ერთ კომენდანტს (ოგანეზოვს) სთხოვა—არ ვიცი. სად არის ჩემი ქმარი და მითხარითო. წინა დღით ერთათ დაიჭიერეს და სად წაიყვანეს, არ იცოდა). კომენდანტმა გაიცინა და უპასუხა: ჩვენ ვიცით, სადაც არის და როცა დრო იქნება, ქმეენ!ც გიიგებთო. მე კი წინ დამით დავინახე, როგორ გაიყვანეს იგი ერთეულიდან. ცხადია, რა შთაბეჭდილებას დასტოვებდა ჯერ ერთი ის სურათი და მეორეც ასეთი ცინიკური პასუხი.

ასე გაგრძელდა ხუთი დღე. შებინდებოდა თუ არა, ჩეკის ეზო გაივსებოდა ხალხით, მთელი ჩეკა ფეხზე დგებოდა, მთელი ღამის განმავლობაში საშინელი ხმაურობა, საბარგო ავტომობილის გრიალი. იარაღის ჩხაკუნი არა სწყდებოდა, გათენებისას კი ყველაფერი მიწყნარდებოდა. ხუთი დღის შემდეგ მართალია პატიმრები ისევ მოყავდათ, მარა უფრო წყნარათ და ჩვეულებრივი მალვით. ამ დროის განმავლობაში ჩვენი საკანიც გაივსო ხალხით, პატიმრების რიცხვი 3-დან 16-დე ავიდა. აქ იყვნენ ახალგაზდებიც, მოხუცნიც. მუშები, მოსამსახურენი, მოსწავლენი. სანდონი, უნდონი და საერთოთ ყველა ჯურის ხალხი; გიიეც კი არ გვაკლდა. მერე მთელი ორი კვირა მოუნდენ ჩეკის გაწმენდას. ეს ხალხიც გადაიყვანეს ციხეებში. მეც მოუთმენლად ველოდი ჩემს ჯერს, რადგან მეტეხში გაბო ციხკარაშეი (3 წლის პატიმარი) და გერასიმე ფრაცხალაიშვილი (8 თვის) მეგულებოდნენ, ნახვის დიდი სურვილი მქონდა. ორი თვის შემდეგ მეც მეღირსა მეტეხში გადასვლა, მაგრამ... ამხანაგები დახვრეტილები აღმოჩნდნენ. აქ მომისწორო ნოემბრის ამნისტიამ და გამათავისუფლა.

* * *

ცნობილია, ვისაც ერთხელ გადაუბრუნდება ფეხი და ჩეკაში მოყვება, მერე მას. მოსცვენება აღარა აქვს. ასევე დამემართა მეც. მართალია გამათავისუფლეს, მაგრამ არ გაუვლია ორ კვირასაც კი, რომ ჩემ ბინას თვალ-თვალი დაეწყეს. მეც მეტი რომ ვერაფერი მოვახერხე, წავედი სოფელში. ერთი თვის შემდეგ ჩამოველ და დავიწყე უნივერსიტეტში მეცადინეობა. აპრილამდე არავის შევეუწყესებივარ. ამ თვის ბოლოს კი, როდესაც გაცხარებული მუშაობა იყო უნივერსიტეტში და გამოცდებისათვის ვემზადებოდი, ისევ შევამჩნიე, რომ ფეხ და ფეხ მდევნენ. რაღას ვიზამდი. დავანებე მეცადინეობას თავი, გადავედ არა ლეგალურ ცხოვრებაზე და ისევ დავტოვე თბილისი. წავედ აბასუმანში, ვინაიდან ჩეკამ დიდი ნიშანი დაასვა ჩემს ჯანმთელობას. რომ მოახლოვდა აპრილის წლის თავი, მთელ საქართველოში და აბასუმანშიაც დაიწყო მასიური დაჭერები. იქ თავის შენახვა არ შეიძლებოდა და მეც ვარჩიე თბილისში დამალვა. აგვისტომ გაიარა. მე თავისუფალი ვიყავი, მაგრამ ჩეკის კოლეგიას გადაეწყვიტა ჩემი დაჭერა და რუსეთში გადასახლება (ეს შემატყობინა ერთმა კომუნისტმა). ასეც მოხდა. 12 სექტემბერს დამიჭიერეს. მეორე დღესვე გამომიცხადეს, ორი დღის შემდეგ რუსეთში გაგზავნითო და ჩამსვეს «ბოჩკაში», ე. ი. საკანში, რომლის მოყვანილობა ნამდვილ ბოჩკას მოგაგონებთ: ზევით და ქვევით ვიწროო, შუაგული კი უფრო განიერი. დიამეტრი ორი მეტრი ჰქონდა, სიმაღლე—ორი ნახევარი მეტრი. ფანჯარაზე ლაპარაკი, რასაკვირველია ზედმეტია. ჰქონდა ერთი პატარა კარი, რომელშიც პაწაწინა სარკმელი იყო ამოჭრილი, მაგრამ ისიც მუდმივ დაკეტილი. გაღება სასტიკად აკრძალული იყო. სექტემბერის დასაწყისში ხომ თბილისში ჯერ კიდევ სიცხეები დგას და ადვილი წარმოსაგენია ის, თუ რა საშინელი სიცხე და ჰაერი იქნებოდა ამ ჩვენს ბოჩკაში. მეტადრე შიგ ვიყავით ორი ქალი და ბოლოს სამნიც კი. პირველ დროს დღეში სამჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავყავდით ფეხის ალაგში, და რამოდენიმე წუთით მაინც იყო გალებული კარები. ამ-ლოს ესეც ავვიკრძალეს და ჩვენი კარები სრულებით აღარ იღებოდა.

ასეთ მდგომარეოდბაში, ცხადია, რუსეთში გადასახლებაც კი სასურველი იყო, მაგრამ გაიარა დაპირებული ორი დღე, ორი კვირაც, თვეც; გადამიყვანეს მეტეხში და გადასახლებაზე აღარავინ აღარაფრს მეუბნებოდა. ბოლოს მეც გადავწყვიტე. გადაინფიქრეს მეთქი, თან ეკითმა ჩემი ფილტვების ავათმყოფობა დაადასტურა და მეც ვთხო-ვე ადგილობრივ ციხეში დატოვება. მაგრამ თურმე ვცდებოდი: ვინ აქცევდა ჩემს ავათმყოფობას ყურადღებას. დაპატიმრების ორი თვის შემდეგ მეტეხიდან ჩეკაში გა-მომიძახეს. გადასახლებას რადგან აღარ მოველოდი და ისიც ვიცოდი, რომ ხალხი, რო-მელიც უნდა წასულიყო პირველი ეტაპით, არ გამოიძახეს, ვიფიქრე უბრალო დაკით-ხვაზედ მეძახოდნენ, ამიტომ არაფერი არ წავიღე თან. მიმიყვანეს ჩეკის საკომენდან-ტოში. იქ რაღაც ზზადება შეეგმბრნე. მორიგი კომენდანტი ავტომობილს და მცვა-ლებს ეძახდა ტელეფონით. ეჭვი შემეპარა და შევეკითხე მას, თუ რას მიპირებდნენ. გაოგებთმა. მითხრა. ბოლოს მოვიდნენ ჯარისკაცებიც, ავტომობილიც და მომმართეს: «აბა წავიდეთო». აქ კიდევ ვკითხე: დაბოლოს მითხარით, სად მგზავნით მეთქი. ისევ ისეთი უკმეხი პასუხი მივიღე: «როცა მიხვალთ, გაიგებთო». მეტეხში ფული და ბარგი მქონდა, ვთხოვე ის მაინც გაეტანებინათ, მარა ამაზედაც უარი მივიღე. ᲯᲣ წამიყვანეს რუსეთში უფუოლოთ და საზაფხულო ტანისამოსით.

მოსკოვის გეპეუში საერთო საკანში ჩამსვეს. ერთ პატარა ოთახში ოცი ქალი ვიყავით. ნოემბრის შუა რიცხვები იყო, მარა ამ ოთახში ისეთი სიცხე და დაბშული ჰაერი იდგა, რომ ქალები წამდაუწუმს გრძნობას კარგავდნენ.

ერთი კვირა დამტოვეს აქ, შემდეგ გადამიყვანეს გეპეუს მეორე ნაწილში, აქედან შემომბატარეს თითქმის მოსკოვის ყველა ციხეები და ბოლოს ბუტირკაში მოვხვედი. შე-მიყვანეს სისხლის სამართლის პატიმრებთან. პატარა საკანში იყო თორმეტი ქალი: პროსტიტუტუტები, ქურდები, მკვლელები და ისეთნაც, რომელთა ვინაობა გამოუურკვე-ველი დარჩა ჩემთვის. რომ შეველი საკანში და გავიგე იქიდან არ გადამიყვანონენ და მომიხდება ამ ხალხთან ცხოვრება, საშინელ გუნებაზე დავდექი. ცოტა მომეშვა გულ-ზე, როდესაც კედელზე დიდი ასოებით განცხადება დავინახე: კვირაში ორჯერ წიგნე-ბის გამოცვლა შეიძლებოო. აღნიშნული დღე სამშაბათს ხვდებოდა. დავუძახე ზედამ-ხედველს და წიგნი მოვთხოვე. მარა უკვე გვიან იყო, დამპირდა პარასკევს მოგაკმეო. დავიწყე პარასკევის ლოდინი. მოვიდა ეს დღეც. არავითარი წიგნი არ მოუციათ. სამი კვირის განმავლობაში ყოველ დღე ვთხოვდი როგორც წიგნს აგრეთვე ქინას, რადგან სასტეკი ციება დამიწყო: ვერც წიგნს და ვერც წამალს ვერ ვეღირსე. სამი კვირის შემ-დეგ წამიყვანეს ვიატკაში. აქაც ჩემდა საუბედუროთ რამ ჩამსვეს სისხლის სამართლის პა-ტიმრებთან. ოთახში ვიყავით ორმოცი ქალი. მათ შორის პროლეტიკერი მხოლოთ მე ვიყავი, დანარჩენები—ისევ პროსტიტუტკები და მკვლელები. უნდა იცოდეთ, რას წარ-მოადგენენ სოფლის პროსტიტუტკები, და ისიც რუსეთის სოფლის. მთელი დღის განა-მავლობაში შეუწუყვეტლივ ვაისმოდა მრავალი-საფეხურიანი რუსული გინება. საკვირ-ველი ის იყო, რომ იმ დალოცვილებს არც ღამე ეძინათ და ღამეც ისეთივე ყაყანი იდგა საკანში, როგორც დღისით. ამას დაუმატეთ სამი თუ ოთხი ძაღე-მწოვარა ბავშვები და სრული სურათი წარმოგიდგებთ თვალწინ. ასეთ ყოფაში გავატარე ათი დღე, რამოდენმე განცხადების და თხოვნის შემდეგ გადამიყვანეს გეპეუში. გამომძახა თავ-მჯდომარემ (არგოვმა). ლაპარაკის დროს ვთხოვე ვიატკაში დავეტოვებინე ავათმყო-ფობის გამო. ვიცოდი რომ მაზრაში საექიმო დახმარებას მოკლებული ვიქნებოდი. მან წრნაადადა მომცა: გახდი ჩემი სიიდუმლო. აგენტი და ყველაფერს აგისრულებ-თო. ამან ჩემზე საშინელათ იმოქმედა. მართალია, წამება ბევრი გამომვლია, მაგრამ ასეთი შეუთაკეოფა პირველი იყო. როდესაც გაბრაზებული ავდექი წამოსასვლელათ, შემეხვია და მითხრა: «ეს ჩვენი ლაპარაკი საიდუმლოთ უნდა დარჩეს».

მესამე თუ მეოთხე დღეს გამგზავნეს იარანსკში. ეს პატარა მივარდნილი სამაზ-რო ქალაქია. 150 ეფრსი ცხენით უნდა გამეგო, რის უფლებაც ქალების მოწმობების, ბევრი თხოვნის და ბოლოს ქვეითად წასვლაზე კატეგორიული უარის გამოცხადების შემდეგ მომეკეს. საშინელი თოვლი და ყინვები იდგა, მე კი ვიყავი საშინაო ჩუსტების, თხელ ჩულქების და საზაფხულო ᲯᲐᲚᲢᲘᲡ ამარა. თანაც უქუდოთ, (ქუდი მოსკოვის ციხეში მომპარეს.) პირველ ათ ვერსზე საშინლათ გავიყინე; თითქმის გრძნობასაც ვკარგავდი. ჩემს ბედზე მცველებს ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ტანსაცმელი მიჰქონდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარანსკში. დიდი ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტეს ვალინკები ეთხოვებინათ ჩემთვის. ამ ვალინკებმა ლოტა მიშველეს და როგორც იყო მეეკვსე დღეს ჩავედით დანიშნულ ადგილს. იქ არც ბინა შომცეს და არც ის ექვსი მანეთი, რომელიც მეკუთვნოდა. (გადასახლებულებს ექვსი მანეთს აძლევენ თვეში.) დავრჩი ქუჩაში, უფულოთ და უბინოთ. როგორც იყო, გავიგე გადასახლებულების მისამართი და მივედი მათთან. მათ შემინახეს სანამ მშობლებიდან დახმარებას მივიღებდი.

ამით გათავდა ჩემი მოგზაურობა ციხეებში, მაგრამ არ გაუვლია ორ თვესაც კი, რომ გამომიცხადეს, რომ სოფელში უნდა გადაგიყვანოთო. ჩემდა საბედნიეროთ შშობლებმა შომიწერეს და გადამარჩინეს ახალი წამებისაგან.

ქეთო ხუციშვილი.

ევროპის ქართველი სტუდენტობა და კომუნისტების ხელისუფლება.

თავის არსებობის ორი წლის შემდეგ, 1920 წ., იმ დროს, როცა დამოუკიდებელი საქართველო მთელ თავის ნორჩ ენერგიას შინაური ამშენებლობის და ჩვენი დამოუკიდებლობისათვის გარეშე მტრებთან ბრძოლას ანდომებდა,—შესძლო მან მაინც დიდი ხარჯების გაღება და 75 ქართველი სტუდენტი განათლების მისაღებათ ევროპაში გამოგზავნა. მთავრობის ასეთ საქმეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეძლეოდა.

ქართველი სტუდენტობაც აღფრთოვანებით გამოეგზავნა ევროპაში და საქართველოს ეროვნულ მთავრობას მაშინ ქებათა-ქებით ისსენიებდა, საქართველოს დამოუკიდებლობას თავიანთი იდეალების ქვაკუთხედად სახავდა...

ამგვარი იყო მაშინ ეს ჩვენი იდეური ახალგახდობა და ასე, სანამ მთავრობის სალაროში შეძლება იყო, მთავრობაც გამოგზავნილ სტუდენტებს დახმარებას უწევდა. დახმარებას აძლევდა იმ დროსაც, როცა ქართველი ხალხი ჩრდილოეთის ოფოდებმა დაიპყრეს და მთავრობა იძულებული იყო სამშობლოდან გამოსულიყო. ამ დღიდან თითქმის სამი წლის განმავლობაში, სტუდენტობა დახმარებას ღებულობდა, რამოდენიმეთ თვით მთავრობის მცირე თანხიდან და რამოდენიმეთ კიდევ სხვადასხვა ქველმოქმედ პირთაგან ევროპაში ჩვენი მთავრობის შუამდგომლობით...

და დამახასიათებელი აქ სწორეთ ეს არის: სანამ «ფულები» იყო და ამ სტუდენტებს «ჭამა და სწავლა»—შეეძლოთ, მანამ მათ საქართველოს დამოუკიდებლობა იდეურათ სწამდათ და კომუნისტურ მთავრობასთან რაიმე კავშირს უარყოფდენ...

მაგრამ, დროთა ვითარებამ სულ ადვილათ შეარყია ამ ახალგახდობის დიდი ნაწილის პოლიტიკური მიდრეკილება და პრინციპები. საკმარისი იყო მათ გრომეში შემოკლებოდათ, რომ მაშინვე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა კომუნისტურ იდეაზე დაეხურდავებიათ. საკმარისი იყო კომუნისტებმის ეროი დაძახილი: «ჰა, ბიჭებო ოოლარები!» რომ ეს «იდეური სტუდენტობა» მაშინვე მტრებთან მიეცავნილიყვნენ და მათთვის ფიცი დაეფოთ: «ოქვენი ხართ საქართველოს მხსნელები და მოკეთენი და აი ჩვენც თქვენთან ვართო!»

სამწუხაროა, რომ ეს «რჩეულნი» მტერთა ბანაკში მოეკვნენ, რომ ეს ახალი თაობა, რომლის სამოდაწყო ასპარეზი მომავალია, ასე ადვილათ, ასე სულმოკლეთ ფულებზე ახურდავებს, საქეყნო ინტერესებს. ამას ქართველი ხალხი ვერ დაიგიწყებს და ვერც გაამართლებს, რადგან ლხინში მასთან მყოფი ეს ახალგახდობა განსაცდელის ჟამს გაეთიშა მას და მტერს მიეკედლა.

მაშინ, როცა იქ, საქართველოში, ქართველი სტუდენტობა, სამშობლოს თავდაცვისათვის ჴერის წინააღმდეგ იბრძოდა, სისხლს ღვრიდა; როცა მოსეულმა მტერმა მეცნიერების ტაძარი სატუსაღოთ გადააქცია, საიდანაც ათერებელ სტუდენტებს ციხე-ციმბირში ერეკებოდა, ხვრეტდა და აწამებდა,—იმ დროს აქ, ევროპაში, ხალხის მიერ გამოგზავნილი «რჩეული სტუდენტობა» თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა და წარმოიდგინეთ, ზოგ მათგანს იმ დროს უბრალო, მორალურათ გამამხნევებელი დეპეშის გაგზავნა ქართველ ხალხისათვის ეძნელებოდა იმ «საბუთით» და «მოსაზრებით», რომ ჩვენ აქ მოწყეფენი ვართ და პოლიტიკაში არ ვერევინთ!

მარა სულ მალე მათი ამგვარი «პოლიტიკური პოზიცია» ადვილათ მომალა კო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მუნისტურმა დოლარებმა. ამ დოლარების მიღებას ისინი პირველად სულ უბრალოდ ასაბუთებდენ,—«ეს ფულები ხალხის ფულებია და რატომ ჩვენც არ ჩავიჯიბოთო!» მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო იმ პროგოკაციის გზაზე, რომელსაც «გაბარწყნის კამპანია» ეწოდება.

რაკი სტუდენტებს მადა აღეძრეს, ვექსილებზედაც ხელისმწერა მოსთხოვეს და მათაც მტრის მიერ შეთხზულ ფურცლებზე ხელის მოწერით დაადასტურეს თავი-ნი ღალატი. ეხლაკი ეს ვაკბატონები ფულის ჩაჯიბვის გასამართლებლად იგონებენ შესაფერ პოლიტიკურ იდეოლოგიას. ეხლა შულავეროვი მოვლინებული მახარაძე-ელიავები ყოფილან ხალხის მხსნელნი. და ასე თუთიყუშივით იმეორებენ ბოლშევიკე-ბის ნაკარნახევს, რადგან ყოველივე აქ ფულს ემყარება. ოღონდ ფულები იყოს და სა-ქართველო მეწყვერსაც წაუღიაო!

და დღეს ეს ვაკბატონები, ზოგი საქართველოში ჩაბრძანებულნი, ზოგი აქ, «დი-პლომების» მისაღებად დარჩენილნი ქართველ ერს «ასმსახურსაც» კი პირდებიან. «და-ხმარებას» აღუთქვამენ. მარა ქართველ ერთან მათ საერთო არაფერი აქვთ, ისინი ეხმა-რებიან და ემსახურებიან ხალხის მტერთ.

ჩვენ ვლაპარაკობთ საზოგადოდ იმ ქართველ სტუდენტებზე, რომლებიც უცხო-ეთში ქართველ ერს გადაუდგა, მაგრამ სახეში გვყავს განსაკუთრებით ის ახალგაზდები, რომლებიც ქართველი ხალხის ხარჯზე გამოგზავნილ იქნენ გერმანიაში და გასაჯირის დროს პირველენი გადაბარგდენ მტრის ბანაკში რამდენიმე პირის გამოკლებით.

საბედნიეროდ ქართველ ხალხს ჰყავს სხვა ახალგაზდობა, სხვა სტუდენტობა, რომელიც უანგაროდ იბრძოდა და იბრძვის დღესაც დამოუკიდებლობისათვის შინ და გარეთ, ციხე-ციმბირის და ხვრეტის მოურიდებლად. ესენი დგანან ეროვნული ბრძო-ლის წინა რიგებში, თავიანთ ბედს ქართველი ერის ბისწრაფებაზე, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე აშენებენ. და მხოლოდ ესენი დაიმკვიდრებენ ქართველი ერის მომავალს. ამ გზას ვერ გაბრწყდებს ვერც ბოლშევიკური დოლარის ძალა, ვერც გელეიშვილ-სულაქველიძეთა მოწოდებანი.

ჩვენ შეგვიძლია აქედანვე ვიწინასწარმეტყველოთ, რომ დღეს მტრის სუფრაზე შემომსხდარი ახალგაზდები თუ მოხუცნი გამარჯვების ჟამს შეეცდებიან ისევ ჩვენს ბანაკში მოხოხდენ იმავ ანგარიშით, რომლითაც მტრის ბანაკს მიაკითხეს. მაგრამ ჩვენ გვრწამს, რომ ქართველი ხალხი მათ საგმირო საქმეებს არ დაივიწყებს და ქამელეონთ ღირსეულ ჯილდოს მიუზღავს.

ᲔᲓᲘᲛᲝᲜᲘᲠᲝ.

ᲬᲐᲠᲘᲚᲘᲗᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ.

II.

1) ტრედუნიონთა გენერალური საბჭო და მემაღაროენი. 2) კანონ-პროექტი ტრედუნიონების წინააღმდეგ. 3) კუკი რუსეთში. 4) საბჭოთა რუსეთის შესახებ ინგლისის პარლამენტში.

გასული წლის მაისის საყოველთაო გაფიცვა, რომელიც გამოცხადებული იყო მემაღაროეთა მხარის დასაჭერათ, 9 დღე გაგრძელდა. მემაღაროენი არ დაეთანხმენ გე-ნერალურ საბჭოს რჩევას, რომ მათ მოლაპარაკების ბაზათ «სამეულის» მემორანდუ-მი მიეღოთ და ერთნაირ კომპრომისზე წასულიყვნენ. ბრძოლა მარტო მაღაროთა მუ-შებმა გააგრძელეს. მთელი შვიდი თვის განმავლობაში, სანამ ბრძოლა გრძელდებოდა მემაღაროეთა ლიდერები გენერალურ საბჭოს უსაყვედურებდენ- ადრე მიგვატყვევეთ, ბრძოლა არ გაგრძელეთ ჩვენთან ერთათ, თორემ მას უთუოთ მოვიგებდითო. გენერა-ლური საბჭო კი, თავის მხრივ, ფედერაციის ლიდერებს ამტყუნებდა—მდგომარეობის მთელი სირთულე ვერ შეიგნეთ, ბევრი მეტათ ხელსაყრელი მომეტებება გაუშვითო, უბ-რალო დემაგოგიით კმაყოფილდებოდით და ამ გზით ბრძოლის მოგება შეუძლებე-ლი იყოო.

რუს ბოლშევიკებმაც მოინდომეს ინგლისის მუშათა მოძრაობის ამ შინაური უთანხმოების გამოყენება თავიანთ მიზნებისათვის. პროფინტერნის გენერალური მდი-ვანი ლოზოვსკი «იზვესტიაში» სწერდა—ინგლისელები გაუგებარი ხალხია, თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ და შიღინგებით რასაც გინდა იმას აქნევენებო. ამ ოფიციალურ-მაც იყო, რომ იმ შვიდი თვის განმავლობაში ბრძოლაში მოკლეცულ და დამშეულ მემაღაროეს ბოლშევიკებმა მილიონს ასი ათასი გირვანქა სტერლინგი გადმოუგზავნეს. ეგონათ მათ მოისყიდიენ და მოსკოვზე დაიწყებინებენ ლოკვას. აკი მოსკოვის ინგლისელი აგენტები ეუბნებოდნენ კრებებზე მემაღაროეს: «აი, ხომ ხედავთ, აშხანგელ რამდენი ფული გადმოგვიგზავნეს ოროსის ბოლშევიკებმა, შემდეგში კიდევ მეტი დახმარება გექნებათ, საჭიროა მხოლოთ მათთან ვიყოთ და მათ დაუჭიროთ მხარეო». მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოსკოვმა ამდენი ფული ამოათ დახარჯა: მემაღაროეებმა მისი იმედი არ გაამართლეს.

რადგანაც გენერალურ საბჭოს და მემაღაროეთა ფედერაციას შორის დამოკიდებულება მეტათ ვაფუჭავებული იყო, ორივე მხარე შეთანხმდა დაეის გარჩევა გადავდვათ. გაფიცვის დასრულების შემდეგ დროისათვის. რათა მემაღაროეთა ბრძოლისათვის ხელი არ შეეშალათ, ამ წლის 20 იანვარს შეიკრიბა ტრედუნიონების ეკზეკუტიტეების (ალმასკომის) კონფერენცია და იქ შეხედნენ ერთმანეთს გენერალური საბჭო და ფედერაციის ხელმძღვანელნი. ხანგრძლივი დებატების შემდეგ კრებამ 2.840 000 ხმით 1,095.000 (ამათ შორის 800.000 მემაღაროეთა ხმა იყო) წინააღმდეგ მოიწონა გენერალური საბჭოს ხაზი და მოქმედება საყოველთაო გაფიცვის დროს; ამ ხაზს მკითხველი ჩვენი წინა წერილებიდან იცნობს.

ვინც გულდასმით გავცქინდა გენეუალურ საბჭოს და მემაღაროეთა ფედერაციის მოხსენებებს 20 იანვრის კონფერენციაზე და მიუდგომლათ შეაფასებს მათ, მისთვის ცხადი იქნება ყველა ის შეცდომები, რომელიც ორივე მხარეს ჩაუდენია ამ დიდ ბრძოლის დროს.

პირველი დიდი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ საყოველთაო გაფიცვისთვის ეროგიფარი მზადება არ ყოფილა და ამ მზადებას, თუ გნებავთ, შეგნებულთათაც გაურბოდენ. შიშობდენ, ვაი თუ ბრძოლისათვის სამზადისმა მისი ფსიქოლოგიური აუცილებლობა შეეშალოს. მთავრობა კი ამ დროს დიდ სამზადისში იყო და ბრძოლასაც კარგათ მოამზადებული შეხვდა. დაბოლოს გენერალური საბჭო იძულებული შეიქნა მოუმზადებელი გამოეცხადებინა საყოველთაო გაფიცვა, რომლის უდიდესი შედეგები მან ვერ გაითვალისწინა და ალბათ ამიტომაც ბრძოლა ადრე შესწყვიტა და შესწყვიტა სწორეთ იმ დროს, როცა ამას არავინ მოელოდა. გაფიცულთა სულისკვეთება კარგი იყო, ბრძოლა ახალი კადრებიც ემატებოდა, საზოგადოებრივი აზრი მთლიანათ მემაღაროეების მხარეზე იყო და ლოკაუტის მოახსნას თხოულობდა. გარეგნულათ, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს ბრძოლის შეწყვეტა ბევრისათვის გაუგებარი იყო.

გენერალურ საბჭოს არც გაფიცვის მთავარი საგანი ქონდა მათლათ გარკვეული. ჯერ, გაფიცვის წინა თვეებში, ის შეუფიგებელი იყო ხელფასის დაკლების, სამუშაო დროს გადიდების, ან ნაციონალური მსჯელობით შეთანხმების პრინციპის შეცვლის საკითხებში. გაფიცვის გამოცხადების წინ კი, როცა მდგომარეობა გართულდა, გენერალურ საბჭოს და თვით ტრედუნიონთა ეკზეკუტივების კონფერენციას ექვი შეეპარა მემაღაროეთა მოთხოვნილებების მთლიანათ განხორციელების შესაძლებლობაში. კონფერენცია თავის ინსტრუქციაში გენერალურ საბჭოსადმი კითხვის «საპატიო მოგვარებაზე» ლაპარაკობდა, რაც ერთნაირ კომპრომისის გულისხმობდა. კუკუს კი ეს «საპატიო მოგვარება» მემაღაროეების ყველა მოთხოვნილებების უკლებლივ განხორციელებათ ესმოდა. აი, ასეთი არეკ-დარეკა სუფეკდა ბრძოლის მიზნების გათვალისწინებაში ამ ბრძოლის ხელმძღვანელთ შორის.

მემაღაროეებმა ბრძოლა მთლიანათ წაგეს. დღევანდელი მათი მუშაობის პირობები გაცილებით უარესია ინ პირობებზე, რომელიც მათ 7 თვის განმავლობაში არა ერთხელ წაუყენეს კონფლიქტის სალიკვიდაციოთ. ბრძოლის უზომოთ და უაზროთ გაჭიანურება, მისი ასეთ ცუდ პირობებში დასრულება ბრალათ ედება უპირველესათ ხელმძღვანელებს, რომელთათაც ვერ გამოიჩინეს სათანადო შორსმჭვრეტელობა და წინდახედულობა. საკმარისია გავიხსენთ კუკი, კაცი მოკლებული ორივე ამ თვისებასს, სამაგიეროთ მეტათ ექსპანსიური, ალვირ ზაჩხანელი დემაგოგი. აი ამ ხელმძღვანელებმა ჩაიდინეს უდიდესი შეცდომა, როცა საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ, მათ არ მიიღეს ზომები, რომ მემაღაროეები კომპრომისზე დათანხმებულიყვნენ და არ მისცეს გენერალურ საბჭოს შესაძლებლობა განეგრძო მოლაპარაკება კონფლიქტის «საპატიო პირობებში» მოსაგვარებლათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა, მთავარი მისი ხელმძღვანელი ოლიგარ-ნო გენერალური საბჭო იყო და თვითოეულ კავშირს მთელი თავისი ძალა-უფლება გაფიცვის დროს მისთვის უნდა გადაეცა. მემადაროთთა ფედერაციამაც გადასცა თავი-ნი ძალაუფლება მას. მაგრამ, რახან გენერალური საბჭო ხელმძღვანელობდა მთელ ვა-ერთიანებულ მოძრაობას გაფიცვის დროს, აუცილებელი იყო, რომ მას უკანასკნელი სიტყვა ჰქონოდა ბრძოლის დამთავრების დროსაც. მემადაროთთა ფედერაციის ეგზე-კუტივი კი ამაზე არ დასთანხმდა და უკანასკნელი სიტყვა თავისთვის დაიტოვა; ამ გა-რემოებამაც დიდათ შეუწყო ხელი გაფიცულთა სასტიკ დამარცხებას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მემადაროთთა ხელმძღვანელნი ვერ იდგენ მდგომარეობის სიმაღლეზე, რომ ზოგ მთავანში ზშირთა პირადი პატივმოყვარეობა და ჯიუტობა სპა-რბობდა პასუხისმგებლობის შეგრძნებას; მაგრამ შეცდომა იქნებოდა ზაგებულ ბრძოლის მთელი პასუხისმგებლობა მხოლოთ მათთვის მიგვეკუთვნებინა. მათი შეცდომების ზყა-რო უნდა ვეძიოთ აგრეთვე მემადაროთთა ორგანიზაციის ზყობის ნაკლში. ეს ორგანი-ზაცია სხვადასხვა რაიონების ფედერაციას ზარმადგენს და ყოველივე საკითხის გადა-საწყვეტად, რაც უნდა სასზრაფო იყოს ის, ამ რაიონების აზრი უნდა შეკრიბონ. მემა-დაროთთა ხელმძღვანელები, საზოგადოთ, არ ხელმძღვანელობენ, ისინი უფრო ისმენენ მასის აზრს და ამის მიხედვით მოქმედებენ. გაფიცვის დროსაც ხელმძღვანელებს არ ჯონდათ უფლება გამოეჩინათ ინიციატივა, ემოქმედათ სწრაფათ და დროს დაუკარგა-ვათ. ამით ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ ლიდერები მასისგან დამოუკიდებლათ უნდა მოქმედებდენ და მას არაფერს ეკითხებოდენ; მაგრამ არის შემთხვევები, როცა არჩეულ ხელმძღვანელთ უნდა ჰქონდეს უფლება სწრაფი გადაწყვეტილების მიღებისა. უამისოთ მომავალში შეუძლებელი იქნება ზარმატებით ზარმოება ისეთი ბრძოლისა, რომელიც ქვანახშირის პროლეტარიატმა გადაიტანა გასულ ზელს. ამ მხრივ მემადაროთთა ფედერ-აციას უთუოთ დიდი ნაკლი აქვს. დღეს ფედერაციაში დიდი ლაპარაკია ამის შესა-ხებ: ცდილობენ ისარგებლონ გაფიცვის გამოცდილებით და მოახდინონ ფედერაციის რეორგანიზაცია სულ ახალ საფუძველზე.

* * *

გასული ზელის ოქტომბერში კონსეერვატიული პარტიის კონფერენციამ სკარბო-რიში მიიღო დადგენილება მოეთხოვა მთავრობისაგან ტრედუნიონების უფლებების შემხლუდველ კანონის გატარება: მთავრობის თავმჯდომარეკ შეპირდა ამას თავის პარტიას. ეს დაპირება ეზლა სისრულეში მოყავთ და პარლამენტში შეაქვთ სათანადო კანონპროექტი.

ტრედუნიონები იმოდენა ძალა შეიქნა, რომ ბუნებრივია მათ ზინაადმდგე იერი-შის მეტანა მუშათა მოძრაობის ტტრების მიერ. ტრედუნიონიზმი დღეს ინგლისში ის ფუძეა, რომელზედაც მთელი მუშათა კლასის მოძრაობა შენდება. ის მუშათა პარტიის ძლიერების უმთავრეს ზყაროს წარმოადგენს. ტრედუნიონებისთვის ზიანის მიყენება მოასწავებს მუშათა კლასის პოლიტიკურ ძალის დაზიანებას.

კანონპროექტის პირველი მუხლი უკანონოთ აცხადებს ყოველივე გაფიცვას, თუ მის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება არ იქნა გამოტანილი ტრედუნიონების (ან სათანადო ტრედუნიონის) წევრების მიერ. ამ მუხლის მიზანია ხელი შეუშალოს გაფი-ცვის სარქაროთ, მოულოდნელათ გამოცხადებას და მით შეძლება მისცეს მეპატრონე-ებს თუ მთავრობას დროულათ მოემზადონ გაფიცვის წინაადმდეგ საბრძოლველათ. ტრედუნიონების წევრები, ჩვეულებრივ შემთხვევებში, დღესაც ხმის მიცემით სწყვე-ტენ გაფიცვის გამოცხადებას; მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა დროს გადამ-ჭრელი მნიშვნელობა აქვს და გაფიცვას ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები აცხადებენ.

კანონპროექტის მეორე მუხლი უზრუნველყოფს თვითეულ მუშას დაშინებისაგან მისი პოლიტიკური რწმენის გამო. ამ მუხლის აზრის გასარკვევათ უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს კავშირები ხმის უმრავლესობით ადგენენ გადადებულ იქნას პოლიტიკური მიზნებისათვის (ბავალითათ, პარლამენტში არჩევნების ჩასატარებლათ) სპეციალური თანხა. უმცირესობა ემორჩილება უმრავლესობის დადგენილებას და, როგორიც არ უნდა იყოს კავშირის ამათუიმ წევრის პოლიტიკური რწმენა, ის იღებს თავის წილს. კანონპროექტის ამ მუხლმა კავშირების თვითეული წევრი უნდა წაიანალოს უარი სთქვას პოლიტიკური მიზნებისათვის წილის გადებაზე. კონსერვატორები ფიქრობენ, რომ ამით ტრედუნიონების ფინანსიურ ქდგომარეობას ეკასუსტებენ და მით მუშათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ზრდასაც შეაფერხებენ. მაგრამ მუშათა კლასის პროფესიონალურ და პოლიტიკურ მოძძოობას დღეს უკვე მეტით ღრმად აქვს გადგმული ფესვები. მეტად დიდია ამ მოძრაობის გავლენა ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე. რომ ბილი ზრდის და განვითარების ხელოვნურად შეჩერება შესაძლოა მის მოწინააღმდეგე პარტიამ.

* * *

კუკი მოსკოვს და პეტროგრადს ესტუმრა. მას იქ დიდი კრებები გაუმართეს, დიდი ოვაციებით მიიღეს ის. კუკზე. როგორც ნერვებ დაზიანებულ ადამიანზე, მრავალრიცხოვანი აუდიტორია ძლიერ მოქმედობს. სანამ ლაპარაკს დაიწყებდეს, მას თვალები ძლიერ უდიდდება, სახე საშინლათ უწითლდება, აყრის თფლს, უტყდება ხელ-ფეხის კანკალი. ასეთ მდგომარეობაში ის ლაპარაკობს წუთიერი შთაბეჭდილების ქვეშ, დაუფიქრებლათ და ყველაფერზე, რაც კი ენაზე მოადგება. ასე ემართება მას ჩვეულებრივად ინგლისში: ესეც დაემართა რუსეთშიაც. რუს პროფკავშირების ყრილობაზე დასასწრებლათ კუკი მხოლოთ ინგლისის მ ე მ ა ღ ა რ ო ე თ ა ორგანიზაციის მიერ იყო გაგზავნილი; ლაპარაკობდა კი ინგლისის მ ი ნ ე ლ ი ნ ის სახელით, თუმცა ამის უფლება მისთვის არავის მიუცია. ეს ექსპანსიური ადამიანი გაბრუა იმან, რაც მას ბოლშევიკებმა თავიანთ თავზე უამბეს. პეტროგრადში, «ლენინის ოთახში», კუკმა შეჰფიცა ლენინს, რომ ის მუდამ მისი «ჭეულწრფელი და მოყვარული მოწაფე» იქნება და... ქარხანა «ჭრასანი ტრეუგოლნიკა»-ში შეპარიდა მუშებს, რომ ინგლისში დაბრუნებისას შეეცდებოდა იქ რევოლიუციის მოხდენას და საბჭოთა მთავრობის გამოცხადებას. ალუთქვა ბოლშევიკებს, რომ ინგლისის მუშათა კლასის ყველა გამოჩენილ ლიდერებს მალე თავიდან მოიშორებდა და ბურთსა და მოედანს თვით დაიმკვიდრებდა. ოვაციებს, ტაშს საზღვარი არ ქონდა...

კუკი დაბრუნდა ინგლისში. აქაურ მუშათა პრესაში მას შეეკითხენ: «თუ შენ გესმის ყველაფერი ის, რაც რუსეთში სთქვი, იცოდე, ადგილი აღარ გაჭეს ინგლისის მუშათა პარტიის რიგებში. ამ შემთხვევაში, უფრო პატიოსნური იქნება, რომ შენ კომუნისტების ჯგუფს შეუერთდე. ან შეიძლება ყველაფერი ეს იყო შედეგი შენი ჩვეულებრივი უსასუხისმგებლობის და ისტერიული ბუნების? ამ შემთხვევაში კი მუშათა მოძრაობამ უნდა იცოდეს. თუ რა ფასი აქვს ყველა იმ სიტყვებს, რომელიც შენ ინგლისში, თუ უსაფათხო წარმოგთქვამს»-ო.

კუკმა პასუხათ «დილი ჰერალდ»-ში დასწერა წერილი, სადაც ამბობს: არაფერი იმის მზგავსი, რასაც ბურჟუაზიული გაზეთები მაწერენ, რუსეთში არ მითქვამსო; ყოველ შემთხვევაში არ მახსოვს რომ მეთქვასო. ნამდვილათ კი აქაურმა გაზეთებმა უდიდესი სისწორით გადმოიღეს კუკის სიტყვები რუსეთის პრესიდან.

მემღაროეთა ფედერაციის კომიტეტმა განუცხადეს კუკს—რუსეთში ასეთი სიტყვების წარმოსთქმის დავალება შენ ჩვენგან არ გქონია; უმჯობესია ასეთ ილიუზიებს თავი გაანებო და აკეთო ის, რასაც შენგან ფედერაციია მოითხოვსო.

კუკიც ეხლა ზმირათ გაიძახის კრებებზე—მე ფედერაციის მოსამსახურე ვარ და გავაკეთებ იმას, რასაც ის დამავალებსო! ვნახოთ.

* * *

ინგლისის საზოგადოებრივი აზრი დიდის ინტერესით მოელოდა 3 მარტის დებატებს პარლამენტში საბჭოთა რუსეთის შესახებ. ჭემბერლენის ნოტის გადაცემის წინა კვირეებში მთავრობის წრეებში. მთელ კონსერვატიულ პარტიაში და პრესაში სასტიკი აგიტაცია სწარმოებდა რუსეთთან ყოველგვარ დიპლომატიურ-კომერციული კავშირის შეწყვეტისათვის. სიტის გამოჩენილი და გავლენიანი წარმომადგენლებიც: ფურკვარტი, დეტერდინგი და სხვები, რომელნიც წინეთ რუსეთთან საქმიანი კავშირის დაჭერის დიდი მომხრენი იყვნენ, ეხლა მრავალგვარ გამოცდილების შემდეგ ყველას თვითონ ურჩევენ—რუსეთთან არავითარი საქმე დაიჭიროთ, თორემ დრო და ფული ტყვილათ დაგეკარგებათო. აქეთკენ მოუწოდებენ მთავრობასაც. უკანასკნელ ხანებში ბოლშევიკებთან ვეჯრობა თვალსაჩინოთ და საგრძნობლათ შემცირდა ინგლისში; ამ საერთო ანტიბოლშევიკურ განწყობილების ხანაში კი საკმაონი ხალხის ნდობამ საბჭოთა რუსეთისადმი ხომ მთლად იკლო. პანიკამ მოიცვა აქაური ბოლშევიკური დაწესებულებები: მათი საელჩო, არკოსი—განსაკუთრებით, როცა კონფლიქტის მოლოდინში საბჭოთა სახელმწიფო ბანკმა ორ მილიონ ნახევარ გირვანქა სტერლინგამდე ინგლისიდან სხვაგან გადაიტანა. საელჩოს და არკოსის მომსახურეებმა, ვისაც კი ფუ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლი ქონდა აქ შემონახული, ყველამ ის ბანკებიდან გამოიტანეს და მღელვარეობით ელოდნენ მდგომარეობის გამორკვევას.

3 მარტის დიბატების დროს, როგორც მუშათა პარტია, ისე ლიბერალები და კონსერვატორები ერთსულოვანთანა აცხადებდნენ, რომ ბოლშევიკების ხელის ფათერი ინგლისის საქმეებში ყოველთ დაუშვებელია და რომ ამას ვერც ერთი მთავრობა ვერ მოითმენსო. მუშათა პარტიის სახელით ოპოზიციის ლიდერმა მაკდონალდმა განაცხადა—ჩემბერლენს კიდევ ამ ორი წლის წინეთ უნდა გაეგზავნა უფრო მაგარი შინაარსის ნოტა». ყველამ ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობა და მესამე ინტერნაციონალი აწარმოებს დაუშვებელ ინტრიგას ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ მთავარი საკითხი ის არის, თუ რა საშუალება უნდა იქნას მიღებული კონფლიქტის თავიდან ასაცდენად და შექმნილ დგომარეობის გამოსაკეთებლათო. ნუ დაგვიწყდებათ, ამბობდა მაკდონალდი, რომ საბჭოთა მთავრობას ბევრი რამ აქვს დამკვიდრებული შიამოშვალობით მეფის მთავრობისაგან; საბჭოთა მთავრობის წევრები, სანამ მინისტრები გახდებოდნენ, თვალი სიცოცხლე დევნილი იყვნენ; მათი პოლიტიკური მსოფმხედველობა განიცდის ციმბირის რეკქ

იის და მათრახის დიდ ზეგავლენას; ციმბირის ეს რეკქიცია უნდა დაემხოს და შეიცვალოს პოლიტიკური შინაური და ინტერნაციონალური პასუხისმგებლობის შეგნებითო. ამისათვის კი საჭირო არის ბოლშევიკებთან საქმიანი მოლაპარაკება გიამართოს. მათთან ახალი ხელშეკრულება დაიდოს და ისინიც მორჯულების გზას დაადგებიანო. დაახლოვებითი ასეთივე პოზიციას იცავდა მუშათა პარტიის მეორე წარმომადგენელი, სნოუდენი, რომელიც ბოლშევიზმის თეორიის და პრაქტიკის კრიტიკას ყველაზე უფრო თამამათ და მოურიდებლათ აწარმოებს მუშათა პარტიაში. ის ეუბნებოდა ჩემბერლენს. სცადეთ კიდევ ერთხელ მორიგების გზა და თუ აქედანაც არაფერი გამოვა, მაშინ გაცილებით მეტი საბუთი ვექნებათ სრულიათ შესწყვეტოთ ყოველივე დამოკიდებულება რუსეთთანო. მაკდონალდის და, რამდენიმეთ, სნოუდენის ილიუზია, ეგებ რამე გამოვიდეს ბოლშევიკებთან მოლაპარაკებიანო, ითქმი აიხსნება, რომ მათ შემცდარი წარმოდგენა აქვთ მესამე ინტერნაციონალის და საბჭოთა მთავრობის ერთმანეთთან დამოკიდებულებაზე. მათ გონიათ, რომ მესამე ინტერნაციონალი საბჭოთა მთავრობას ახვევს თავზე თავის პოლიტიკას, მთავრობა კი ცდილობს მესამე ინტერნაციონალის გაელენას თავი დაახწიოს და თავისი საკუთარი, უფრო საქმიანი პოლიტიკა აწარმოვოს. ესენი დღემდე ვერ გარკვეულან ამაში, რომ მესამე ინტერნაციონალი და საბჭოთა მთავრობა პოლიტბიუროს უბრალო მაჩაჩხალები არიან.

ლიბერალები თავიანთ სიტყვებში განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ რუსეთთან ვაჭრობის საჭიროებას და ამ მიზნით მასთან ხელახალ მოლაპარაკების გამართვას თხოულობდენ.

ჩემბერლენი უპასუხებდა ოპოზიციას: «ყველა იმ ფაქტების და გამოცდილების შემდეგ, რაც-ჩვენ დღეს გვაქვს, რა ფასი ექნება ჩემს ლაპარაკს ბოლშევიკებთან ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ, როცა ორი წლის შემდეგ შესაძლებელია მითხრან, რომ მბოლოდ მე ვიყავი ისეთი სულელი, რომელსაც საბჭოთა მთავრობის სიტყვა დასაჯერებლათ მიმჩანდა?» არა, ასეთი რამის ჩადენა მე არ შემიძლიანო.

მაგრამ ჩემბერლენს პასუხი უნდა გაეცა არა მარტო ოფიციალური ოპოზიციასთვის, არამედ თვით მისი პარტიის უმრავლესობისათვისაც რომელიც მოითხოვდა რუსეთთან ყოველივე დამოკიდებულება ეხლავე შეწყვეტილიყო. როგორც კერძო სათათბიროო კრებებზე, ისე საჯაროთ ჩემბერლენი თავის პარტიულ მეგობრებს შემდეგს უპასუხებდა: ინგლისის მთავრობა ეხლა აწარმოებს მუშამბასს ევროპაში წონასწორობის და მშვიდობიანობის დასამყარებლათ. აუცილებლივ საჭიროა მოისპოს ის ეჭვიანობა, რომელსაც ადგილი აქვს ევროპის ზოგ ნაწილებში. განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში. არის ბევრი საკითხები, რომლებიც წონასწორ მოგვარებულ უნდა იქმნას. სანამ ეს არ მომხდარა, რუსეთთან ეხლავე კავშირის შეწყვეტა უფრო გაგვიძნელებდა და გაგვირთულებდა მდგომარეობასო. თუ ჩვენ და რუსეთს შორის კავშირი შეწყდება, მთელმა ქვეყანამ უნდა დაინახოს და იცოდეს, თუ რატომ გახდა ეს აუცილებელი, ვინ არის პასუხისმგებელი, რომ პასუხისმგებლობა სწორეთ იმათ მხრებზეა ვინც თავის ქვეყანაში მუშობის მაგივრათ უმთავრესათ სხვის ქვეყნებში ცდილობს ოდევეის და ანარქიის გამოწვევას. ჩვენ გვაქვს მოთმინება. თავდაჭერა, მაგრამ ყოველივე მოთმინებას აქვს საზღვარი. თავისრობა იტოვებს თავისუფლებას თვითონ აირჩიოს მომენტი და გადადგას შესაფერი ნაბიჯი, როცა ეს საჭიროა და აუცილებელი იქნებაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების ისტორიაში ძვირათ შეხვდებით ისეთ შემთხვევას, როცა ორ მთავრობათა შორის დიპლომატიური კავშირი არსებობდეს და ამავე დროს ერი თვითმართველობა ოფიციური წარმომადგენელი ასეთი ენით ლაპარაკობდეს მეორე მთავრობის შესახებ. მაგრამ, როგორც ამასწინეთ ინგლისის ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოდვაწე ამბობდა: სიბეჯითე მთავრობა როგაც არა ნორმალურ მოვლენას წარმოადგენს და მასაც არანორმალური მეთოდებით უმასპინძლდებიან.

ლონდონი. მარტი 1927 წ. ვ.

წერილი ჩეხოსლოვაკიიდან.

II [1])

ეროვნებათა ურთიერთობის საკითხი ჩეხოსლოვაკიაში უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ჩვენთვის, მაგრამ სამწუხაროთ, ადგილის სიმცირის გამო, ჩვენ შეძლება არა გვაქვს დაწვრილებით გავარკვიოთ იგი. აღვნიშნავ მხოლოდ უმთავრესს.

ძველს ავსტრო-უნგრეთში 1867 წლის ცნობილი შეთანხმების ძალით ავსტრია ეკუთვნოდა გერმანელებს, უნგრეთი—მაგიარებს, ხოლო შემდგომ პოლონელებსაც მიეჩიჭა მართველობა გალიციის რუსინების (ავსტრიელ უკრაინელების). მაგრამ გერმანელები და მაგიარები, რომბორკა ორივენი ერთად მთელს ავსტროუნგრეთში. აგრეთვე თვითეული მათგანი თავიანთ სახელმწიფოში, შეადგენდნენ საგრძნობ უმცირესობას' აქედან წარმოსდგებოდა შემდეგი არანორმალური მდგომარეობა: ეს გაბატონებული ეროვნებები მოკლებულნი იყვნენ იმედს, რომ მათთვის ოდესმე, თვით დემოკრატიულ წესებში, მხარი დაეჭირა ხალხს უმრავლესობას. საკმარისი იყო დაჩაგრული ერები პოლიტიკურათ შეთანხმებულიყვნენ, რომ პარლამენტაროულ-კონსტიტუციურ წესწყობილებაში გერმანულ-უნგრელთა ბატონობის კვალიც კი გამქრალიყო. ამიტომ საარჩევნო კანონებში შეჰქონდათ მთელი რიგი ოსტატური კომბინაციებისა, რომელთ მთავარი მიზანი იყო ეროვნულ უმცირესობათა უფლებების აღმაშფოთველი დარღვევა. საარჩევნო ბრძოლა იღებდა მწვავე, მახინჯ და უმსგავსო ხასიათს. რამდენთაც მატულობდა მასების შეგნება, მით უფრო შეურიგებელნი იყვნენ ისინი უცხოელთა ბატონობისადმი. დაწყებული რეფისარატით (საიმპერიო საკანონმდებლო დარეკლილება) და გათავებული ყოუ პროვინციის მივარდნილ კუთხის თვითმართველობით, ჩაგრული ერები მიმართავდენ უმწვავეს ზომებს, რომ გერმანელების და უნგრელების ბატონობა გაეტეხათ. ეს ბრძოლა შეადგენდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების შინაარს და აფერხებდა ყოველივე საქმიან მუშაობას. უმცირესობათა ცდა მიმართული იყო ყოველივე ზომის-თუ გინდ გონიერის-გაბათილებისაკენ, თუ ამ ზომას «გაბატონებულნი» ატარებდენ: ამ ბრძოლას მსხვერპლად ეწირებოდა ხალხის უმნიშვნელოვანესი ინტერესები.

ავსტრო-უნგრეთის ეროვნებათა ურთიერთობის თავისებურებას შეადგენდა ის გარემოება, რომ ჩეხებისა და სლოვაკების გარდა, ყველა ჩაგრული ერები შეადგენდენ ერ თ დ ენ ტ ა ს, ე. ი. ამ ეროვნებათა ნაწილი მოქცეული იყო სგვა სახელმწიფოებში და სწორეთ ამთვის ისწრაფვიდენ ავსტრო უნგრეთის «ჩამონაპრები»: რუმინელები—რუმინიისაკენ, სირბიელები, ხორვატები, ბოსნიელები და სლოვენები—სერბიისაკენ, იტალიელები—იტალიისაკენ, პოლონელები ელტეოდენ რუსეთის და გერმანიის პოლონელებთან ერთად დამოუკიდებელ პოლონეთის შექმნას, გალიციელნი კიდეე—რუსეთის უკრაინელებთან ერთად დამოუკიდებელ უკრაინის დაარსებისაკენ. ავსტრიიაზე თვალი ეჭირათ რუმინიას, სერბიას, იტალიას და რუსეთს—უკრაინელების სახელით. ყველა ამ ეროვნებათა «ჩამონაპრების» გაგრძნანელება რომ შესაძლებელი გამხდარიყო, მათი ეროვნული ცხოვრება ამით არ შეწყდებოდა: ის გაგრძელდებოდა ავსტრო-უნგრეთის გარეშე. მაშინ როდესაც ჩეხების გაგრძნანელება და სლოვაკების გამადიარება მოასწავებდა ამ ორი ეროვნების სამოლოო სიკვდილს, რადგან ამათ სავსებით ავსტრო-უნგრეთის საზღვრებში მოეყარათ თავი. ამიტომაც იყო. რომ ჩეხები ასე თავგამოდებით იცავდენ თავის ეროვნულ სახეს, ასეთ მზრუნველობას უწევდენ ახლად წარმო-

---

[1]) იხ. «ბრძოლა», № 18.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

შობილ და განვითარებულ ჩეხურ კაპიტალს, ასეთი ხალისით აბარებდენ შემონაწულ ფულს ჩეხურ ბანკებს, ყიდულობდენ მზოლოდ ჩეხებისაგან და მზათ იყვენ თავი დაედვათ ქეხებში ან მაღაზიებზე ჩეხურ ენაზე წარწერების გამო. ისინი იბრძოდენ თავიანთ არსებობისათვის, ყოფნა—არყოფნისათვის. დედა ენასთან ერთად მტრის ენის ცოდნაც საშუალებას აძლევდა ჩეხ ინტელიგენტებს შესულიყვენ ყველა სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში, საცა ორივე ენის ცოდნა იყო სავალდებულო. და დაკავებიათ იქ გერმანელების ადგილი, რომელნიც არ კადრულობდენ ჩეხურის სწავლას. ამ გარემოების წყალობით გადატრიალების დროისთვის ჩეხია სრულიად მომზადებული გამოდგა დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობისათვის, მას აღმოაჩინდა წესრიგზე მომუშავე ადმინისტრატიული აპარატი და საუცხოვოთ გაწერთნილი მოხელეები.

როგორც ჩვენში. ჩეხიაშიაც წარმოიშვა ორი პოლიტიკური ორიენტაცია როგორთ პრაქტიკული მოთხოვნილებანი ჩამოაყალიბა ერთმა და იმავე პირმა, ჩეხიის უდიდესმა განათლებულმა, ისტორიკოსმა პალაცკიმ. ვენის 1840 წლის რევოლიუციის ხანაში მან წამოაყენა პროექტი ავსტრო-ვენგრიის გადაქცევისა ავტონომიურ ეროვნებათა სახელმწიფოთ. ამ ხანას ეკუთვნის ცნობილი მისი ნათქვამი: «ავსტრია ოდეს არ ყოფილიყო—საჭირო იქნებოდა მისი გამოგონება!» სამოციან წლეებში კი პალაცკი ამუშავებს ჩეხიის ისტორიულ სახელმწიფოს აღდგენის პროექტს, რომელიც საფუძვლად დაედო ჩეხიის ბურჟუაზიულ პარტიების პროგრამებს. ასეთივე ამბავი მოუვიდა შესანიშნავ უკრაინელ მოღვაწეს მ. პ. დრაგომანოვს, რომელიც ჯერ იცავდა ხალხთა თავისუფალ კავშირს რუსეთის ფარგლებში, ხოლო სიკვდილის წინ კი—უკრაინის სეპარაციას რუსეთისაგან. ჩეხიის სოციალდემოკრატიული პარტია თავის წარმოშობიდანვე უკუაგდებდა თავისი ერის დამოუკიდებლობის დასაბუთებას ძველი პერგამენტების და დრომოჭმული ნორმების საშუალებით. აღიარებდა რა სადღეისო სინამდვილის მოთხოვნილებებზე დაყრდნობის საჭიროებას, ის მოითხოვდა ეროვნებათა ფედერატიულ სახელმწიფოს შექმნას. ისტორია ჩეხიის ისტორიულ სახელმწიფოს აღდგენის ეზოთ წაიდა, მხოლოდ შეუერთა მას სლოვაკები, რომელნიც წინათ ჩეხიაში არ შედიოდენ.

დღეკანდელ ჩეხოსლოვაკიის ეროვნული შემადგენლობა შემდეგია:

ჩეხები	6.727.408	ე. ი.	49,42 პროც.
სლოვაკები	2.033.529	»	14,94 »
გერმანელები	3.123.568	»	22,94 »
მაღიარები	745.431	»	5,48 »
რუსინები	461.849	»	3.39 »
ებრაელები	180.855	»	1.33 »
პოლონელები	75.853	»	0.56 »
დანარჩენები (მომტეტებულათ უცხოელები)	264.679	»	1,94 »
სულ	13.613.172	»	100 »

თუ ჩეხებს და სლოვაკებს ერთად ვიანგარიშებთ (სლოვაკები ჩეხურ ეროვნების უუქველ შტოს შეადგენენ), ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო უნდა ჩავთვალოთ ეროვნულ ტიპის სახელმწიფოთ: თითქმის ორიმესამედი, შემდგარი «ჩეხოსლოვაკურ» ეროვნებისაგან, უპირდაპირდება ყველა დანარჩენ ეროვნებათაგან შემდგარ ერთ მესამედს. ხოლო თუ სლოვაკები ცალკე ეროვნებათ მივიჩნიეთ, ამ შემთხვევაში ჩეხები შეადგენენ უმცირესობას და არ არის არც ჩეხური, არც სლოვაკური და არც ჩეხოსლოვაკური სახელმწიფო, არამედ არის ეროვნებათა სახელმწიფო. მაშინ მართალია ფრიდრიხ ადლერი, რომელიც ამას წინათ სწერდა, რომ ახალი გერმანული ავსტრია ისე გაბედნიერდა, რომ თავიდან მოიშორა ეროვნული საკითხი, რომელიც ეხლა არსებით საკითხს შეადგენს სოციალდემოკრატიისთვის ჩეხოსლოვაკიაში, ვინაიდან ეს სახელმწიფო არის ჭეშმარიტი მემკვიდრე ძველი ავსტრიისა. [1])

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ᲛᲔᲜᲬᲘᲠᲔ.

[1]) «დერ კამპფ», № 11, 1926 წ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საერთაშორისო შემთა პროდუს. მოძრაობიდან.

ამსტერდამისაკენ. «ბრძოლის» მე-17 ნომერში მკითხველი გაეცნო იმ ახალ სულისკვეთებას, რომელიც შეიქმნა იუგოსლავიისა და მთელი ბალკანეთის მუშებში, რაც გამოიხატა მათი ორგანიზაციების პროფინტერნიდან გამოსვლაში და ახალი, პოლიტიკურად ნეიტრალური და დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგომი ორგანიზაციების დაარსებაში. იუგოსლავიის მუშათა ორგანიზაციების სახით პროფინტერნმა დაკარგა მთავარი ბაზა მთელ ბალკანეთში. სადაც თავს იყრის მისი ინტრიგების ნასკვი.

პროფინტერნის ხელში დაჭნინებული კავშირები სულ მცირე დროში გამოცოცხლდნენ, მოდერნიერდენ და ძალათ იქცენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ნიადაგზე დარაზმვის წყალობით.

სწორედ იმ დროს, როდესაც ინგლისში დამარცხებული კუკი რუსეთში გასტროლიორობდა, მოსკოველ მეგობრებს პირდებოდა ევროპის ყირამალა გადატრიალებას და იქ საბჭოთა ძალაუფლების დამყარებას. ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპაში ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი ექვსი სახელმწიფოს მუშათა პროფ. ორგანიზაციების გაერთიანებას. სკანდინავიის (შვედეთი, დანია, ნორვეგია) ძველი მუშათა სინდიკატები დაუკავშირდენ ბალტიის მხარის (ესტონია, ლატვია, ლიტვა) ნორჩ მუშათა ორგანიზაციებს. ნორვეგიის მუშათა კავშირები რამოდენიმე წლის მწარე გამოცდილების შემდეგ გაეყარენ პროფინტერნს და მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ უბრუნდებიან ისევ თავის ძველ ოჯახს. ამსტერდამის ინტერნაციონალს. ნორვეგიელების ზემოაღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა არის პირველი და გადამჭრელი ნაბიჯი მათი ამსტერდამში დაბრუნების გზაზე.

კონფერენციაზე. რომელიც მოწვეული იყო ამსტერდამის ინიციატივით. პროფინტერნის ფინელმა მეგობრებმა განაცხადეს სურვილი თამბირზე ენახათ რუსეთის კავშირების წარმომადგენლებიც. მაგრამ ეს სურვილი სურვილათ დარჩა. თამბირმა მიიღო დადგენილება, რომ სკანდინავია-ბალტიის გაერთიანებაში მიიღებინან მხოლოდ ის მუშათა კავშირები, რომლებიც დგანან მუშათა მოძრაობის დამოუკიდებლობის ნიადაგზე ე. ი. იზიარებენ ამსტერდამის გაერთიანების პრინციპს.

დეკემბრის შუა რიცხვებში დაარსდა შვეიცარიელ მტატებში სპეციალური სხვა და სხვა მუშათა ფედერაციების წარმომადგენელთაგან შემდეგარი კომისია. კომისიის პირველაირ მოგალობას შეადგენს. აწარმოოს აქტიური ბრძოლა ბოლშევიკური დემაგოგიის წინააღმდეგ ამერიკის მუშათა მასებში და ამხილოს მათი დამრღვევი საქმიანობა ყოველგან და ყოველთვის.

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ. ამსტერდამის მუშათა ინტ—ლის წინა კონფერენციამ უკანასკნელი ინგლისური ფელეგაციის წინადადება პროფინტერთთან საერთო ფრონტის გამართვის შესახებ (წინადადების ავტორეს სახვში ჰქონდათ ამ ორ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონფერენციის მოწვევა საერთო ენის გამოსანახავათ).

უკანასკნელ კონფერენციას, რომელიც შესდგა ამსტერდამში 26 თებერვალს. ტრედიუნიონებმა გეგზალუმმა საბჭომ მიმართა შეკითხვით. აქეს თუ არა ალნიშნულ დადგენილებას ის აზრი, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი უარს იტყვის რუსებთან თათბირში მონაწილეობის მიღებაზე იმ შემთხვევაშიაც, თუ რომ ასეთი თათბირის მოწვევას იკისრებს ტრედიუნიონების გენერალური საბჭო.

მუშათა ინტერნაციონალმა ამ შეკითხვაზე შემდეგი პასუხი გასცა:

მუშათა ინტერნაციონალს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა რუსების პროფკავშირებთან თათბირში, თუ ეს უკანასკნელნი მიიღებენ წინდაწინ ამსტერდამის კონსტიტუციასო.

კიდევ ერთი უარი კომუნისტებს. საფრანგეთის მუშათა სინდიკატების კონფედერაციამ (სეკეტე) განიხილა და ეკუთვნოდა მისგან კომუნისტების მიერ გამოთქმულ «უნიტარულ კონფედერაციის» წინადადება გაერთიანების შესახებ. «სეკეტემ» ამავე დროს მიმართა «უნიტარულ» ორგანიზაციაში შემავალ სინდიკატებს და ცალკე წევრებს მოწოდებით. რომელშიც ის ამბობს. რომ თვითეულ მათგანს შეუძლია დაუბრუნდეს პირვანდელ პროფესიულ გაერთიანებას (სეკეტეს), თუ მას მართლა მთლიანობა ინტერესსებს და უნიტარულ ორგანიზაციის კომუნისტურ ხელმძღვანელებივით სეკეტეს დარღვევა არ უდგეს გულში, როცა გაერთიანებაზე დაღადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთის მოსამსახურეთა პროფესიული გაერთიანება (მოსამსახურეთა ფედერაცია), რომელიც ჯამდე არც ერთ ეროვნულ გაერთიანებაში არ შედიოდა, თავიის დადგენილებიმ თანახმამ, მიღებულ იქნა წევრთან მუშათა გენერალურ კონფედერაციაში (სექტეტ).

Ш. ბაბი—ი.

ინტერნაციონალში.

3 მარტს პარიზში შესდგა გაერთიანებული სხდომა სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალის და ამსტერდამის პროფესიულ ინტერნაციონალის ბიურეებისა. ამსტერდამს წარმოადგენენ: მისი თავმჯდომარე უ დ ე გ ე ს ტ ი, ლეონ ჟუო (საფრანგეგეთი) და მერტენსი (ბელგია). სოციალისტური ინტ.-ის მხრით, მისი გენერალური მდივანის ფრ. ადლერის გარდა დაესწრენ წარმომადგენელნი: გერმანიის, ინგლისის (დამ. მუშათა პარტიის), ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის, რუსეთის, იტალიის, საქართველოს, იუგოსლავიის, ჩეხოსლავაკიის და შვეიცარიის. თავმჯდომარეობდენ ფრ.-ადლერი და უდეგესტი. დილის სხდომაზე განხილულ იქნა ბალკანეთში წამოჭრილი საშიშროება ომისა, ხოლო საღამოს—მდგომარეობა ჩინეთში. ანრთი კაცელა-გამოცემამ ნათელ ჰყო მსოფლიო პროლეტარიატის პოლიტიკურ და პროფესიულ გაერთიანებათა სრული თანხმობა აღნიშნული პრობლემების დაფასებაში და ომის თავიდან ასაცილებლად ზომების გამომუშავებაში. ერთხმათ მიღებულ იქნა სამი რეზოლიუციია: იუგოსლავია-იტალია-ალბანეთის საკითხზე, ჩინეთის ამბებზე და ფაშიზმზე. პირველი რეზოლიუციია მოუწოდებს მუშათა კლასის წარმომადგენელთ სხვა და სხვა ქვეყნებში მიიღონ ყოველივე ზომა, რომ ბალკანეთში წამოჭრილი კონფლიკტი საიდუმლო დამპლომატიის გავლენის სფეროდან გადატანილ იქნას მოსაგვარებლათ ერთა ლიგაში, რათა მის ირგვლივ ატეხილი დავა გახდეს საჯარო განხილვის და მსჯელბის საგანი. ერთა ლიგამ უნდა იხელმძღვანელოს ალბანეთის დამოუკიდებლობის პრინციპით და აიცილოს მას იტალიის ან იუგოსლავიის პროტექტორატი. ამ მიზნის მისაღწევათ სხდომა ავალებს მუშათა კლასის პარტიებს და ორგანიზაციებს ყველა ქვეყნებში გავლენა მოახდინონ როგორც მთავრობებზე—პარლამენტარული გზით, აგრეთვე საზოგადოებრივ აზრზე პრიპაგანდა-აგიტაციის საშვალებით, რათა უკუგდებულ იქნას საიდუმლო დიპლომატია და მისი ადგილი დაეთმოს ერთა ლიგის საჯარო მოქმედებას და გავლენას.

მეორე რეზოლიუციაში გაერთიანებული სხდომა ადიარებს მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობას და თანაგრძნობას ჩინეთის ხალხისადმი, რომელიც ებრძვის ფეოდალურ რეციმის დასამხობათ, თავიის ეროვნული მთლიანობის დასაშვიდრებლათ დემოკრატიულ ნიადაგზე და უცხო ძალთაგან თავიის პოლიტიკური, ფინანსიური და სოციალური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლათ. სხდომა მოუწოდებს მუშშთა პარტიებს და ორგანიზაციებს მოითხოვონ სათანადო მთავრობათაგან ჩინეთში უცხოელების პრივილეგიების და კონცესიების რეციმის გაუქმება. იქიდან უცხო ჯარების და ფლოტების გაწვევა, ქვეყნის სუვერენების და დამოუკიდებლობის ცნობა და ამ ნიადაგზე ეროვნულ მოძრაობასთან მოლაპარაკების გამართვა ომის თავიდან ასაცილებლათ.

მესამე რეზოლიუციია ამხელს ფაშიზმის რეაქციონურ და იმპერიალისტურ როლს სანთანმოძრაობა პოლიტიკაში.

ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ს ა ა ნ კ ე ტ ო კ ო მ ი ს ი ა. 4 აპრილს პარიზშივე შეიკრიბა სოც. მუშათა ინტ—ის გაფართოებული ბიურო. სხდომის მთავარი საგანი იყო სამაისო მოწოდების საბოლოო ტექსტის მიღება, რის შემდეგ ბიუროს განხილოს საკითხი პოლიტიკური დევნისა სხვადასხვა ქვეყნებში. ბიუროს მიიღო რეზოლიუციი, რომელიც მსოფლიოს დემოკრატიის ყურადღებას მიაქცევს გაფაშისტებულ ლიტვაში სოციალისტ ტყეეეების ბედს, რომელთაც სამხედრო სასამართლო ეშფოტება, აგრეთვე სასტიკ პროტესტს აცხადებს უნგრეთის თთავრობის მიერ წარმოებული ტეროროის წინააღმდეგ.

დაბოლოს, ბიუროო დაუბრუნდა ეკზეკუტივის მიერ მიღებულ დადგენილებას შესახებ სანკეტო კომისიის გაგზავნისა რუსეთში და საქართველოში პოლიტიკურ დევნის საკითხის შესასწავლათ. (იხ. «ბრძოლა» № 19-20.) მიღებული იქნა პრინციპი, რომლის თანახმათ უნდა იქნას შედგენილი კომისია. მის საბოლოოთ შედგენამდე კი მისი საქმეები მიენდოო დებრიუკერს (ბელგია) და კრისპინს (ავრმანია). ყოველივე-მასალა უნდა გაიგზავნოს, ციურიხში, სეკრეტარიატის სახელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება უცხოეთში.

სილიბისტრო ჯიბლაძის გარდაცვალების მე-5 წლისთავი ჩვენი პარტიის პარიზელმა ჯგუფმა აღნიშნა საგანგებო შეკრებულებით, რომელსაც პარიზში და მიდამოებში მყოფ ყველა ჩვენ ამხანაგებს გარდა დაესწრენ საქ. სოც. ფედ. პარტიის ადგილობრივ ჯგუფის წევრებიც. სამგლოვიარო შეკრებულება გახსნა მოკლე, მაგრამ ფრიად გრძნობიარე სიტყვით ამხ. კალე ქავთარაძემ. შემდეგ პარტიის ბელადმა, ნოე ჟორდანიამ, მოგვითხრო თავისი თანამებრძოლის და მეგობრის ცხოვრებაბრძოლა, სოციალის სიმპატიკით დაგვიხასიათა სილიბისტროს დიადი ბუნება, რომელშიაც ჰარმონიულად იყო შეხვეული შეუდრეკელი მებრძოლის ფოლადისებური ნებისყოფა და დაუფარომელი ენერგია სიყვარულით აღსავსე, ნაზ, გრძნობიარე გულთან და მაღალ, უმწეოკელო ზნეობასთან; ეს პირადი მოგონებების სახით მოთხრილი დახასიათება გასაგებ მღელვარებას გვრიდა ორატორს და მისი მღელვარება ედებოდა მთელ აუდიტორიას. შემდეგ მოკლე სიტყვაში ამხ. რაჟდენ არსენიძემ დაასურათა პარტიაში ყველაფერზე და ყველასთვის მზრუნავი. ყველას პირ-ვარამის გამკითხავი სილიბისტრო, რომელიც იყო თვითეულ პარტიულ მეშაკასთვის არა მარტო პარტიული ხელმძღვანელი, არამედ ზნეობრივი მასწავლებელი და პირიასუფალი. ბოლოს, ჩვენმა გაპაღარავებულმა, მაგრამ მუდამ ცაბუკმა ვლასა მგელაძემ თავისი მრავალფეროვანი და მოკარგული ენით, პოეტური შთაგონებით და მჩქეფარე-ჯადოსნური გრძნობით ვაკაცხოველა დამსწრეთა წარმოდგენაში უკვდავი სახე სილიბისტროსი, რომელმაც შესძლო დიადი რევოლიუციონერი და თანამედროვეგი იდეალებისათვის მებრძოლი გამხდარიყო იმიტომ, რომ ის იყო უპირველეს ყოვლისა დიადი ქართველი, აღმოცენებული თავისი ერის დიადი წარსულის და მისი თანამედროვე მოთხოვნილებების ნიადაგზე. თავისი წარმტაცი სიტყვა ვლასამ დაამთავრა ჩვენ ეკონომიის წინა ნომერში დაბეჭდილი თავისი ლექსით. ამით დასრულდა სამგლოვიარო შეკრებულება, რომელიც გულწრფელ და ინტიმურ გლოვის გრძნობით იყო აღბეჭდილი.

* * *

პარტიულ სასამართლოს დადგენილება. ს.-დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის საზოგადო კრებას 27 თებ. სხვა საკითხთა შორის მოსხენდა დადგენილება პარტიულ სასამართლოსი, რომელიც შესდგა ორგანიზაციის ინიციატიივთ ამხ. ისიდორე ქარსელაძის და ამხ. მეხუმლაის საქმეზე. აი ამ დადგენილების ტექსტი:

პარტიულმა სასამართლომ, შემდგარმა თანახმად პარიზის ს. დ. ორგანიზაციის დადგენილებისა, განიხილა გაზეთი «კომეფინტერნი» გამოქვეყნებული ამხ. პორფირე მეხუმლაის და ისიდორე ქარსელაძის წერილები, აგრეთვე მოისმინა როგორც დასსებული ამხანაგების, ისე კომეტეტის წარმომადგენელთა სიტყვიერი განმარტებანი.— და მიიღო რა მხედველობაში:

1. წერილები კერძო ხასიათისაა და ავტორთა აზრათ არ ქ...ნიათ მათი გამოქვეყნება. თუმცა ამხ. მეხუმლამ იცოდა, როგორც სჩანს მის მიერ თფილისში გაგზავნილ წერილიდან, უკანასკნელის მტრის ხელში ჩავარდნის შესაძლებლობა; მეხუმლაის წერილები გასცეს ყოფილმა ამხანაგებმა, ხოლო ქარსელაძის ამხანაგისადმი მიმართული წერილები, ავტორის სურვილის წინააღმდეგ. მტერმა ჩაიგდო ხელში და მათი გამოქვეყნებით სამარცხვინო ბოზს გაკარა თავის თავი.

2. მეხუმლაის და ქარსელაძის წერილებში მოყვანილი ფაქტების ერთი ნაწილი არ არის მთელის სისწორით გადმოცემული და მიუდგომლათ დაფასებული, ხოლო ზოგიერთ ფაქტებს სულაც არ ქონია ადგილი. თუმცა ავტორთ არ ეტყობათ ყველა ამბების წინასწარი მოფიქრებით ჩადენა; ტონი წერილებისა, განსაკუთრებით ქარსელაძის, არ არის ამხანაგური და მიუდგელია პარტიულ ურთიერთობაში;

3. მეხუმლაის პიერ თფილისში გაგზავნილი წერილი საგრძნობლათ თავშეკავებულია მის მიერ პრაღაში გაგზავნილ წერილთან შედარებით; მაგრამ პირველშიაც, ისე, როგორც განსაკუთრებით მეორეში, არის ისეთი დაუშვებელი ადგილები, როგორც მაგ. ორგანიზაციის «ერთი ნაწილის», თუმცა დაუსახელებლად—«ფაშისტებთა» მონაცემია.

4. ამხ. მეხუმლაი და ქარსელაძე თვითონაც არ უარყოფენ, რომ მათი წერილების გამოქვეყნებას ზიანის მოტანა შეეძლო პარტიისათვის და მთელი ჩვენი საქმისთვის; უტყუარია, რომ მტერმა მართლაც სცადა, თუმცა უნაყოფოთ, მათი გამოყენება თა-

ვის გასვრილი მიზნისათვის, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ სრულიადაც ნებრივი დისკუსია პარიზის ს. დ. ორგანიზაციაში. უკანასკნელის ვითომ დაშლად გასაღებია ადგილობრივ და მით ერთგვარი მერყეობა შეეტანა ს. დ. წრეებში:

5. ამბ. მეხუზლა და ქარსელაძე აცხადებენ: რომ მათი კერძო წერილების «კომუნისტის» მიერ გამოქვეყნება სხვებზე უფროო მათ აწუხებთ; რომ ისინი იყვნენ და არიან დამოუკიდებლობის იდეის ერთგულნი და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ეროვნულ მთავრობაში ხედავენ ქართველი ერის მეფრთმეს; მათი ხელმძღვანელობა, მშობლებსა და ნაცვალ ცოლშვილს დამორება ამასვე მოწმობს. ქარსელაძე, ამას გარდა, აცხადებს, რომ ის სწერდა თავის წერილებს ნაჩქარევად და ფაქტების შეუმოწმებლათ;

6. ამბ. მუხუზლას და ქარსელაძის წერილები შედგენილია პარიზის ს.-დ. ორგანიზაციაში მომხდარ დებატების დროს, რასაც არ შეეძლო გავლენა არ ქონებოდა• როგორც შინაარსსა, ისე ტონსა და ეს მით უფრო, რომ ისინი ორგანიზაციის უმცირესობას ეკუთვნიან!

დ ა ბ ო ლ ო ნ ა: გამოეცხადოს ამბ. პორ. მეხუზლას და ინ. ქარსელაძეს **ს ა ყ ვ ე დ უ რ ი** და **გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა** იმის გამო, რომ მათ ინგარიში არ გაუწიოს პარტიისა და ერის სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობას და დაუშვებელი წინდაუხედველობა გამოიჩინეს, როცა ეზავნიდენ, თუმცა კერძოთ და წინასწარ მოუფიქრებლად, ზევით აღნიშნულ წერილებს.

წ ე რ ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ბ ა რ თ.

საქართველოს სოც.-დემოკრ. მუშ. პარტიის ოდენკურის ორგანიზაციის ბიურო გთხოვთ მოათავსოთ «ბრძოლის» უახლოესს ნომერში შემდეგი ჩვენი განცხადება:

როგორც ჩვენ შევიტყვეთ საქართველოში გავრცელებულა ხმები, ვითომც ქრისტეფორე იმნაშვილი არ იყოს ჩვენს რიგებში.

ოდენკურის ორგანიზაციის ბიურო კატეგორიულად უარყოფს ამ ხმებს, მწუხარებას გამოსთქვამს მათი გავრცელების გამო და აცხადებს, რომ ამბ. ქრ. იმნაშვილი ისევ მტკიცედ სდგას ჩვენი ორგანიზაციის რიგებში; როგორც ის იდგა საქართველოში.

ოდენკურის ორგან. ბიუროს თავმჯ. ნ. ნასიძე, მდივანი შ. ქ[illegible]ოძე.

31 იანვარი 1927 წელი.

«ბ რ ძ ო ლ ი ს» მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა ხ ა ყ უ რ ა ღ ღ ებ ებ ი ს.

რედაქცია სთხოვს მკითხველთ რომელთაც ამის შეძლება აქვთ, მოაწოდონ მას საჭიროთ ჟურნალში აღნიშნულ მისამართით ყოველგვარი ცნობები საქართველოში ციხე-ჩეკაში დატუსაღებულ ან რუსეთში გადასახლებულ ქართველ პოლიტიკურ ტყვეების შესახებ: ტყვეების ან გადასახლებულების ვინაობა (გვარი და სახელი, რომელ პარტიას ეკუთვნის), ტყვეობის ან გადასახლების ადგილი, როდის დაატყვევეს ან გადაასახლეს, რა პირობებში იმყოფებიან და სხვ. რედაქცია სთხოვს აგრეთვე ციხე-ჩეკაში ან გადასახლებაში ნამყოფ ამხანაგებს მოაწოდონ მას ტყვეობის და გადასახლების მოგონებანი.

Rédaction et Administration:
M-r. D. Charachidsé.
8, Cité Rondelet, Montrouge (Seine)

Le Gérant: G.-A. Bernard.

Imprimerie A. Lejeune 95, Grande Rue. Arpajon (S. et. O.)